დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი

წევრები:

ქეთევან ანთაძე

გიული გურგენიძე

თათია გივიშვილი

ქეთევან ღვანიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ''ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი''

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამთავრობო არაკომერციული იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 247865289

სახე:

[x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

[ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

[ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/უნივერსიტეტი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

[ ] პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

[ ] პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

[ ] საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური - პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით**

☐ **არაგეგმიური**

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

N	**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ზღვრული რაოდენობა**	**აქტიური პროფესიული სტუდენტების/მსმენელების რაოდენობა**	**სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების/მსმენელების რაოდენობა**
1	ბუღალტრული აღრიცხვა	60	4	19
2	საექთნო განათლება	60	46	15
3	სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი	30	19	6
	სულ	**150**	**69**	**40**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საერთო მიმოხილვა

ა.წ. 21-23 ივნისს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2023 წლის 7 ივნისის N654047 ბრძანების შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა", "გ", "დ", "ე" ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ბუღალტრული აღრიცხვა", "საექთნო განათლება" და "სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შემოწმების მიზნით.

მონიტორინგის ვიზიტი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა შუახევის მუნიციპალიტეტში, სოფელი ტაკიძეებში, ხიჭაურში.
ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტამდე შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეიკრიბნენ zoom-ის საშუალებით, განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად წამოჭრილი საკითხები, შეიმუშავეს ვიზიტის დღის განრიგი.

2023 წლის 21 და 22 ივნისს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა განახორციელეს დაწესებულების ინსტიტუციური სტანდარტების შეფასება დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის განრიგის დაცვით. ვიზიტის ფარგლებში მათ მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩატარებული იქნა ინტერვიუები პერსონალთან, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რევიზირებული იქნა უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მათი პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებები.

2023 წლის 22 ივნისს დარგის ექსპერტის მიერ გადამოწმებული იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვა" ფარგლებში ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობა, 23 ივნისს კი "საექთნო განათლება" და "სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დარგის და განათლების ექსპერტების ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა გაესაუბრებები პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებთან და განმახორციელებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, შეაფასეს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, დაათვალიერეს მათი ფაქტობრივი მდგომარეობა, ფლობის დოკუმენტაცია, შეიმუშავეს რეკომენდაციები.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში, 2023 წლის 23 ივნისს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულებას წარუდგინა პრეზენტაცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეჯერებული მიგნებების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
1) უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარება	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
1.1) პსდ-ს მისია		შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება		შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა		შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები		შეესაბამება
4) ადამიანური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა		შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება		შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა		არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები		შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები		შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული ხარვეზებისა და რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

3.1.1.1.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი რიგი პროფესიული სტუდენტების უფლებებთან და გარანტიებთან დაკავშირებული შიდა რეგულაციები ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას - **შესრულებულია.**

4.1.1.1.

• დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული - **შესრულებულია.**

• თანამშრომლებთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული შრომის კოდექსით დადგენილი შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობა- შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა - **შესრულებულია.**

4.1.1.2.

დაწესებულების შინაგანაწესი სრულად არ არის შესაბამისობაში საქართველოს შრომის კოდექსთან. მაგალითად: არ არის განსაზღვრული შესვენების დრო. თანამშრომელთან დადებულ შრომით ხელშეკრულებაში კი (რომელიც ადმინისტრაციის ყველა თანამშრომლისათვის სტანდარტულია) შესვენება განისაზღვრება 15:00 სთ-დან 15:30 სთ-მდე. ანუ ნახევარი საათით. შინაგანაწესის თანახმად უნივერსიტეტში სამუშაო დღე იწყება 10:00 საათზე და სრულდება 17:00 საათზე. კანონმდებლობის თანახმად თუ სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაო დროის ხანგრძლივობა არანაკლებ 6 საათია, შესვენების დროის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხანგრძლივობა უნდა იყოს სულ მცირე 60 წუთი. უნივერსიტეტის შინაგანაწესის თანახმად დასვენების დღეებია: საუფლო სადღესასწაულო დღეები, ასევე კვირა დღე. დასვენების დღეებად არ მიიჩნევა სახელმწიფოს მიერ დადგენილი უქმე დღეები. კანონმდებლობით(შრომის კოდექსით) დასაქმებულის მიერ სახელმწიფოს მიერ დადგენილ უქმე დღეებში სამუშაოს შესრულება ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა და მისი ანაზღაურების პირობები ნათელი უნდა იყოს დასაქმებულისათვის. ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება საერთოდ არ არის ნახსენები არც შინაგანაწესში, არც დასაქმებულთან დადებულ ხელშეკრულებაში. თანამშრომლებთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული შრომის კოდექსით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების რიგი არსებითი პირობები. მაგალითად: შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა; შრომის ანაზღაურება (მიეთითება ხელფასი, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – დანამატი) და მისი გადახდის წესი; ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი; ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და ამ შვებულებების მიცემის წესი - **შესრულებულია.**

4.1.1.3.

დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. მაგალითად:

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში(მუხლი 1.მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგია) ვკითხულობთ: „კალენდარულ გეგმას და შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს განმახორციელებელი პირი, რომელსაც განიხილავს და ვალიდურობის შემთხვევაში ადასტურებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი“ - **შესრულებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

• სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ასევე აღნიშნულია, რომ „თუ პროფესიული სტუდენტი ვერ გამოცხადდა შედეგის დადასტურებაზე, მას უფლება აქვს მიმართოს „უნივერსიტეტი“-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს და მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება. აღნიშნული ჩანაწერი კონფლიქტში მოდის ვერიფიკაციის მექანიზმთან. შეფასების პროცესის ვერიფიკაციისას ხარისხის სამსახური მონიტორინგს უკეთებს შეფასების სრულ პროცესს. შესაბამისად, შედეგების დადასტურების პროცესში ხარისხის ჩართულობა ქმნის ინტერესთა კონფლიქტს. დაუშვებელია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია და ვერიფიკაცია მოახდინოს ერთი და იმავე სტრუქტურამ/ პირმა - **შესრულებულია.**

• ინტერესთა კონფლიქტი იკვეთება სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში აღწერილ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხვა ფუნქციაშიც: მაგალითად: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას - სასწავლო/გამოცდის ცხრილს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა მოხდეს სტატუსაღდგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი სასწავლო კურსების/მოდულების წინაპირობების დაცვით - **შესრულებულია.**

4.1.2.1. დაწესებულების შინაგანაწესი სრულად არ არის შესაბამისობაში საქართველოს შრომის კოდექსთან. მაგალითად: არ არის განსაზღვრული შესვენების დრო. თანამშრომელთან დადებულ შრომით ხელშეკრულებაში კი (რომელიც ადმინისტრაციის ყველა თანამშრომლისათვის სტანდარტულია) შესვენება განისაზღვრება 15:00 სთ-დან 15:30 სთ-მდე. ანუ ნახევარი საათით. შინაგანაწესის თანახმად უნივერსიტეტში სამუშაო დღე იწყება 10:00 საათზე და სრულდება 17:00 საათზე. კანონმდებლობის თანახმად თუ სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაო დროის ხანგრძლივობა არანაკლებ 6 საათია, შესვენების დროის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხანგრძლივობა უნდა იყოს სულ მცირე 60 წუთი. უნივერსიტეტის შინაგანაწესის თანახმად დასვენების დღეებია: საუფლო სადღესასწაულო დღეები, ასევე კვირა დღე. დასვენების დღეებად არ მიიჩნევა სახელმწიფოს მიერ დადგენილი უქმე დღეები. კანონმდებლობით(შრომის კოდექსით) დასაქმებულის მიერ სახელმწიფოს მიერ დადგენილ უქმე დღეებში სამუშაოს შესრულება ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა და მისი ანაზღაურების პირობები ნათელი უნდა იყოს დასაქმებულისათვის. ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება საერთოდ არ არის ნახსენები არც შინაგანაწესში, არც დასაქმებულთან დადებულ ხელშეკრულებაში.

თანამშრომლებთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული შრომის კოდექსით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების რიგი არსებითი პირობები. მაგალითად: შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა; შრომის ანაზღაურება (მიეთითება ხელფასი, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში − დანამატი) და მისი გადახდის წესი; ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი; ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და ამ შვებულებების მიცემის წესი - **შესრულებულია.**

5.1.1.1.

დაწესებულების საქმიანობა არ არის უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.კერძოდ:დაწესებულება თხოვების ხელშეკრულებით ფლობს ქონებას მდებარე შუახევში სოფელი ტაკიძეები, ხიჭაური (საკადასტრო კოდი 24.07.03.385). ხელშეკრულება გაფორმებულია 2012 წლის 24 ივლისს 10 წლის ვადით. დაწესებულებას ავტორიზაცია მინიჭებული აქვს 2019 წლის 23 აგვისტოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს #29 გადაწყვეტილებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება კი 2020 წლის 07

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თებერვალს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მეათე გადაწყვეტილებით. შესაბამისად, შენობის ფლობა დასტურდება მხოლოდ 2022 წლამდე , რაც ავტორიზაციის ვადაზე ნაკლებია - **შესრულებულია.**

5.1.1.2.

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები არ არის ხელმისაწვდომი შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის. პირველ და მეორე სართულებზე ასასვლელ კიბეებზე დამონტაჟებულია ხის ასაკეცი პანდუსი, თუმცა, აღნიშნული პანდუსი ვერ ფარავს სრულად კიბის მონაკვეთს(რამდენიმე საფეხურით მოკლეა) , ხოლო მესამე სართულზე ასასვლელ კიბეზე საერთოდ არ არის პანდუსი - **შესრულებულია.**

5.1.1.4.

შენობა-ნაგებობა არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით - **შესრულებულია.**

5.1.1.5.

დაწესებულებაში არ მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, დაწესებულებას არ წარმოუდგენია შრომის უსაფრთხოების დებულება. დაწესებულებას არ წარმოუდგენია სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამსაქმებელის კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში გატარებული პრევენციული ღონიძიებების, დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარების მტკიცებულებები - **შესრულებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1.1.8.

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის განკუთვნილ შენობაში არ აქვს ადაპტირებული სველი წერტილი. ამასთან, კიბეების არასრულად ადაპტირების გამო შეუძლებელია სველ წერტილთან მისვლა - **შესრულებულია.**

5.1.2.1.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა 2019 წლის 5 თებერვალს შეამოწმა სასწავლო უნივერსიტეტი სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და შეადგინა შესაბამისი შეფასების აქტი, რომლის თანახმად საევაკუაციო გასასვლელის რაოდენობა და მდგომარეობა არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს; არ არის წესრიგში შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგება და ონკანები; არ არის დამონტაჟებული სახანძრო სიგნალიზაცია და ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლის და ევაკუაციის მართვის სისტემა; საევაკუაციო გეგმები არ არის სტანდარტის შესაბამისი, არ არის სათანადო რაოდენობის ცეცხლმაქრები; უნივერსიტეტის ელექტრომეურნეობის მდგომარეობა არ შეესაბამება მოთხოვნებს - **შესრულებულია.**

5.1.2.3.

დაწესებულებას არა აქვს შემუშვებული და კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი, კანონმდებლობასთან შესაბამისი საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმა. დაწესებულებას არა აქვს განსაზღვრული საგანგებო სიტუაციების მართვაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, მათი ვალდებულებები და უფლება-მოვალეობები, არა აქვს ჩატარებული ხანძრსაწინააღმდეგო და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ინსტრუქტაჟები - **შესრულებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.1.3.

დაწესებულება არ უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. დაწესებულებამ არ წარმოადგინა არანაირი მტკიცებულება პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. არც რეგულაციაში არ არის გაწერილი პერსონალური მონაცემების დაცვასთან მიმართებაში(პერსონალის და სტუდენდების)რაიმე მექანიზმი - **შესრულებულია.**

5.2.2.2.

სასწავლო უნივერსიტეტი არ იყენებს ელექტრონულ საქმისწარმოების სისტემას - **შესრულებულია.**

5.2.2.4.

დაწესებულება დროულად არ აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. მაგალითად: დაწესებულებამ დადგენილ ვადაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში არ წარუდგინა თვითშეფასების ანგარიში - **შესრულებულია.**

5.2.3.4.

დაწესებულებამ არ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. შესაბამისად ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის 24 პუნქტის თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ არ მისცა ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობა, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ - **შესრულებულია.**

5.2.3.5.

დაწესებულებას არ წარმოუდგენია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. შესაბამისად, ვერ დადგინდა ხდება თუ არა კატალოგის განახლება ყოველწიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად - **შესრულებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.3.1.1.

დაწესებულებამ არ წარმოადგინა ბიუჯეტი. შესაბამისად ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის 24 პუნქტის თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ არ მისცა ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობა, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ - **შესრულებულია.**

5.3.1.2.

საოპერაციო ხარჯები არ არის უზრუნველყოფილი ფინანსური რესურსით - **შესრულებულია.**

5.3.1.3.

დაწესებულებამ არ წარმოადგინა ფინანსური მდგრადობის შეფასების დოკუმენტი ან ფინანსური ანგარიში/ანალიზი. შესაბამისად ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის 24 პუნქტის თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ არ მისცა ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობა, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ - **შესრულებულია.**

5.3.1.4.

დაწესებულებამ არ წარმოადგინა ფინანსური მდგრადობის შეფასების კვლევის მასალები, ან შეფასების შედეგებზე რეაგირების რაიმე მტკიცებულება. შესაბამისად ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის 24 პუნქტის თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ არ მისცა ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობა, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ - **შესრულებულია.**

2.1.1.2.

უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“და „ბუღალტრული აღრიცხვა“ „ ჩარიცხვის პროცედურები არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის ბრძანება №42/ნ დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“-თან - **შესრულებულია.**

2.1.1.8.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის №192/ნ ბრძანებაში განხორციელდა ცვლილება ბრძანება N58/ნ 20/05/2020 და "აღმზრდელის" ჩარჩო დოკუმენტში მისანიჭებელ კვალიფიკაციად განისაზღვრა - "უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში". ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისთვის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის #541866 გადაწყვეტილებით ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისთვის საგანმანათლებლო პროგრამისათვის „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“ კვალიფიკაციად განისაზღვრა „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში“. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ აღნიშნულ პროგრამაში ცვლილებები არ არის განხორციელებული და კვალიფიკაციად განსაზღვრულია „მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში”. უნდა მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამა აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან - **შესრულებულია.**

2.2.1.7.

დაწესებულებას არც ვიზიტის დროს, არც ვიზიტამდე გამოგზავნილ დოკუმენტებში არ მოუწოდებია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“ და „ბუღალტრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღრიცხვა“ ბიუჯეტი. ვერ დადგინდა არის თუ არა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, შესაბამისად ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის 24 პუნქტის თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ არ მისცა ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობა, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ - **შესრულებულია.**

განმავითარებელი რეკომენდაციები:

1.2.1.3 ინდიკატორი: სამოქმედო გეგმაში დაცული იქნას ერთიანი მიდგომა, ყველა განსაზღვრულ ამოცანას მიეთითოს შემსრულებელი პირები - **შესრულებულია.**

3.2.1.2. ინდიკატორი: დაწესებულებამ დოკუმენტურად გაწეროს სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები, ასევე, განსაზღვროს კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პერ(ებ)ის ფუნქციები ამ საკითხთან დაკავშირებით - **შესრულებულია.**

3.2.1.3. ინდიკატორი: დაწესებულებამ დოკუმენტურად გაწეროს უნივერსიტეტში დამკვიდრებული ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები, ადმინისტრაციული წარმოების ვადები - **შესრულებულია.**

3.2.1.4. ინდიკატორი: სასურველია სტუდენტური აქტივობების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში - **შესრულებულია.**

3.2.2.3. ინდიკატორი: დაწესებულებამ დოკუმენტურად შეიმუშავოს კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კმაყოფილების კვლევის მეთოდოლოგია, სადაც ასახავს იმ აქტივობებს რასაც რეალურად ახორციელებს პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით - **შესრულებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2.2.4.ინდიკატორი: პროცესის ყოველთვის დადებითი შეფასება შესაძლოა არ გამორიცხავდეს კითხვარების რელევანტურობის საკითხს. სასურველია დაწესებულებამ გადახედოს იმ კითხვარებს, რომლებსაც იყენებს აღნიშნული კვლევისას - **შესრულებულია.**

4.1.1.1.ინდიკატორი: სასურველია დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტები მოექცეს გარკვეულ სისტემაში, არ ხდებოდეს სხვადასხვა დასახელების დოკუმენტში იდენტური შინაარსის ინფორმაციისა და რეგულაციების დუბლირება. მაგალითად: რექტორის ფუნქცია-მოვალეობები იდენტური ტექსტით გვხვდება სამ სხვადასხვა დოკუმენტში. ესენია: „მართვის ორგანოების უფლებამოვალეობები, ფუნქციები და არჩევის პროცედურები"(დამტკ. 2019 წლის 26 დეკემბრის №01-03/45 ბრძანებით); „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა"(დამტკ. 2021 წლის 25 ივნისი #01-03/05 ბრძანებით); „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება" (დამტკ.2019 წლის 25 დეკემბერი №01-03/41 ბრძანებით) - **შესრულებულია.**

4.1.2.2. ინდიკატორი დაწესებულებამ გაწეროს, თუ რა დოკუმენტაციას უნდა მოიცავდეს თანამშრომლის პირადი საქმის შემადგენლობა - **შესრულებულია.**

4.1.2.3.ინდიკატორი რეკომენდირებულია დაწესებულებამ დააზუსტოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უმაღლესი განათლების გარდა მოთხოვნებში, რიგი შემთხვევებისათვის/პოზიციებისათვის, დაუშვას პროფესიული განათლებაც. ასევე, სასურველია, მოდულების განმახორციელებელი პირების მიმართ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებში აისახოს მოდულის შესაბამისი სამუშაო გამოცდილების მოთხოვნაც - **შესრულებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.2.1.2 ინდიკატორი უნივერისტეტმა მოახდინოს განხორციელებული აქტივობების დოკუმენტირება.(მაგალითად: გადაიღოს ტრენინგის/შეხვედრის ამსახველი ვიდეო/ფოტომასალა, შექმნას შეხვედრის ჩანაწერები, ხელმოწერის ფურცლები, შეხვედრის ოქმები და სხვა)ეს მიდგომა განავრცოს სხვა ტიპის აქტივობებზეც - **შესრულებულია.**

4.2.1.4. ინდიკატორი გაიწეროს: ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის ხელშეწყობის მექანიზმები, ასევე პერსონალის შეფასებისა და საჭიროებათა კვლევის მექანიზმები - **შესრულებულია.**

5.1.1.3. ინდიკატორი დაწესებულებამ დოკუმენტურად გაწეროს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი, რომელშიც განსაზღვრული იქნება მაგალითად დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სივრცეების, მათ შორის სასწავლო და სამუშაო სივრცეების დასუფთავები წესი და განსაზღვროს დასუფთვების პერიოდულობა - **შესრულებულია.**

5.2.2.1. ინდიკატორი რეკომენდირებულია საქმისწარმოების ინსტრუქციაში გაიწეროს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა - **შესრულებულია.**

2.2.1.6.ინდიკატორი დაწესებულებამ მარეგულირებელ დოკუმენტში გაითვალისწინოს საჭიროების შემთხვევაში სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობაც (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ (საჭიროების შესაბამისად) - **შესრულებულია.**

2.4.2.3 ინდიკატორი დაწესებულებამ მარეგულირებელი დოკუმენტები მოიყვანოს თანხვედრაში ერთმანეთთან - **შესრულებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

5.1.2.1

დაწესებულებას აქვს მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის თაობაზე და განხორციელების ვადებთან დაკავშირებით ახორციელებს მოლაპარაკებას შესაბამის სამსახურთან, თუმცა, ამ ეტაპისთვის ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის. შესაბამისად, ინდიკატორი ექსპერტთა მხრიდან ფასდება როგორც ''არ შეესაბამება''.

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია არ გამოვლენილა.

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინსტიტუციური სტანდარტები:

3.1.1.3. პროფესიული სტუდენტის შეფასების გასაჩივრების პროცედურაში სასურველია გაიწეროს კონკრეტული მოქმედების თანმიმდევრობა და ვადები უნივერსიტეტის შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტში.

3.2.1.5.

დაწესებულებაში განავითარონ კმაყოფილების კვლევის კითხვარები და ფოკუსირება მოახდინონ პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებაზე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესებისთვის.

4.1.2.4.

სასურველია უნივერსიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესების შესახებ დაწესებულების მიერ შეგროვილი მატერიალური მტკიცებულებები გამდიდრდეს ფოტოებით, ოქმებითა და სხვა სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.2.1.1.

დაწესებულებამ განავითაროს პერსონალის განვითარების საჭიროებათა კვლევის კითხვარები და თითოეული კითხვარი მოარგოს შესაფასებელი პირისათვის რელევანტური საჭიროების დადგენაზე.

4.2.1.2.

დაწესებულებამ უფრო ინტენსიურად მოახდინოს ადმინისტრაციული პერსონალის ტრენინგები პროფესიული განათლების მართვის თანამედროვე გამოწვევებისა და სიახლეების გასაცნობად.

5.2.3.1

დაწესებულებამ უზრუნველყოს ვებგვერდზე ტექნიკური უზუსტობების აღმოფხვრა და მათი ლოგიკური დაჯგუფება დაინტერესებული მხარეებისთვის მარტივად ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის მიღების მიზნით.

5.2.3.4

დაწესებულებამ სასურველია კატალოგში ასახოს ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც მას გახდის უფრო ინფორმაციულს და ხელს შეუწყობს დაინტერესებულ პირებს არჩევანის გაკეთებისას.

პროგრამული სტანდარტები:

2.2.1.6.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია სასწავლო გარემოსთან წვდომის ადაპტირებისთვის შემდგომში გაითვალისწინონ თანამედროვე და უფრო კომფორტული მექანიზმების გამოყენება.

2.2.1.7.

განმავითარებელი რეკომენდაციის სახით დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ ბიუჯეტი შედგეს თითოეული განსახორციელებელი პროგრამისთვის ცალცალკე და განისაზღვროს როგორც რენტაბელობის ზღვარი, ასევე მასში გაითვალისწინონ მთიანი რეგიონისთვის დამახასიათებელი ფორსმაჟორული არახელსაყრელი ვითარების ფინანსური გადაზღვევა, რომლითაც დამატებითი სახსრების გაწევა შეიძლება დასჭირდეს დაწესებულებას (მაგ. დიდთოვლობის, ზვავიანობის, სხვა მეტეოროლოგიური პირობების გამო გამოწვეული ხარჯები).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XI. სტანდარტების შეფასება

1. უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში.

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ,,ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის'' მისია თანხვედრაშია პროფესიული განათლების მიზნებთან. კერძოდ, დაწესებულებას შემუშავებული აქვს მისია, რომლის თანახმადაც, ხელს უწყობს თანამედროვე საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობისთვის შესაბამისი გარემოს შექმნას, სადაც შესაძლებელია შრომის ბაზრის გაზრდილი და სწრაფად ცვალებადი მოთხოვნების შესაბამისად, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით და ასაკის შეუზღუდავად, პროფესიის დაუფლება, შეცვლა და კვალიფიკაციის ამაღლება.
   დაწესებულება ასევე უზრუნველყოფს პროფესიული და აკადემიური მიმართულებით კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას და განათლებას მთელი სიცოცხლის მანძილზე, რისთვისაც ახორციელებს პროფესიულ და აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებს და ხელს უწყობს მაღალი ეროვნულ-მოქალაქეობრივი შეგნების მატარებელი პიროვნების ჩამოყალიბებას. **გამომდინარე აქედან, დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულების მისიაში ჩანს მისი ძირითადი საქმიანობა და როლი განათლების სისტემაში. გამომდინარე იქიდან, რომ სასწავლო უნივერსიტეტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის მიხედვით მდებარეობს რეგიონში, დაწესებულების როლი რეგიონის განვითარების საქმეში გამოხატულია მის მისიაშიც. იგი მიზნად ისახავს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებით, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს რეგიონისა და ქვეყნის განვითარებაში, რისთვისაც ახორციელებს შესაბამის აქტივობებს. შესაბამისად, დაწესებულების მისია და საქმიანობა ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულობას საგანამანთლებლო სივრცეში. **ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან.**

3. ,,ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის'' მისიით განსაზღვრულია მისი ხედვა და ღირებულებები, რომლებიც თანხვედრაშია მისიასთან. სასწავლო უნივერსიტეტი თავის თავს ხედავს, როგორც რეგიონში სტაბილური განვითარების მქონე, პროფესიული და აკადემიური სტუდენტებისა და პერსონალის წარმატებაზე ორიენტირებულ დაწესებულებად, რომელიც ცდილობს დაიკავოს წამყვანი უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პოზიცია. სასწავლო უნივერსიტეტი მოწოდებულია ეროვნული თვითშეგნების, მართლმადიდებელი ქრისტიანობის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის საწყისებზე, თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებით, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს რეგიონის და ქვეყნის განვითარებაში, დაიცვას ეროვნული ღირებულებები და ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპები.**შესაბამისად, დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.**

4. ,,ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში'' მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება ხორციელდება თანამონაწილეობის პრინციპის დაცვით. დაწესებულების მისიის შემუშავებაში ჩართული იყვნენ სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სტუდენტები და აკადემიური პერსონალი. მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებისას ჩატარდა შეხვედრა მისიის, ხედვის და ღირებულებების პროექტის გაზიარების მიზნით, ასევე გამოკითხვები, რომლის შედეგებზე ინფორმაციაც გაუზიარდა სტუდენტებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შემუშავებული მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარებას, საჯაროობას და ხელმისაწვდომობას დაინტერებული პირებისთვის, რაც დასტურდება როგორც დოკუმენტაციით, (კრების ოქმი, შეხვედრის/პრეზენტაციის ამსახველი ფოტომასალა, გამოკითხვის შედეგები), ისე დაინტერესებულ მხარეებთან (სტუდენტი, კურსდამთავრებული, ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები) ინტერვიუს შედეგებით.

სასწავლო უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებების შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **შესაბამისად, დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ-გვერდზე განთავსებული დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები;
- მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარების მტკიცებულებები;
- ''ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის'' მიერ შემუშავებული უნივერსიტეტის მისია, ხედვა, ღირებულებების დოკუმენტი;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა.

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ''სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის'' დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2021 წლის 12 აგვისტოს № 01-03/19 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტიით დაწესებულება ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.

   დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ''სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიაში'', აღწერილია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი, თუ როგორ ხდება სტრატეგიული დაგეგმვის ინიცირება, სტრატეგიული გეგმის მომზადება და განხილვა, სტრატეგიული გეგმის დამტკიცება, სამოქმედო გეგმის შედგენა, გეგმების შესრულების მონიტორინგი, ანალიზი და შესაბამისი ცვლილებების მომზადება.

   დოკუმენტაციის შესაბამისად, დაწესებულებას დამტკიცებული აქვს 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2021 წლის 19 მარტი № 01-03/08 ბრძანებით და ასევე ერთწლიანი სამოქმედო გეგმა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2022 წლის 29 დეკემბერი № 01-03/11 ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარდა ამისა, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ‘’სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წესი‘‘, დამტკიცებული სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2018 წლის 28 დეკემბრის № 01-03/25 ბრძანებით, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის, შეფასებისა და ამ პროცესების განხორციელებისთვის საჭირო ეტაპებისა და პერიოდულობის შესახებ ინფორმაციას. **გამომდინარე აქედან, ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.**

2. სასწავლო უნივერსიტეტის ‘’სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის‘‘, თანახმად სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს. სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით ხდება ჯგუფის ფორმირება, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული გეგმის პროექტის შემუშავებაზე და პროცესში უნივერსიტეტის ფართო საზოგადოების ჩართვაზე. მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული გეგმის მომზადება სხვადასხვა ეტაპს მოიცავს. როგორიცაა: დაინტერესებულ პირთა მოლოდინების განსაზღვრა, ორგანიზაციული შესაძლებლობებისა და გარემოს ანალიზი, უნივერსიტეტის სამომავლო ხედვისა და მისიის ფორმირება, სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბება, სტრატეგიული მიზნების მიღწევის მექანიზმებისა და რესურსების განსაზღვრა, სტრატეგიული გეგმის განხილვა და დამტკიცება.

დაინტერესებულ პირთა მოლოდინების განსაზღვრისთვის დაწესებულება ატარებს დაინტერესებულ პირთა გამოკითხვებს (წერილობითი ან/და ზეპირი გასაუბრების ფორმით) და აკეთებს შედეგების ანალიზს. ამასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ, მზადდება ანგარიშები და სტატისტიკური ინფორმაცია. დაწესებულება ასევე პერიოდულად იკვლევს რეგიონის შრომის ბაზარს და განსაზღვრავს მოთხოვნად პროფესიებს. დაგეგმარების პროცესში ეწყობა შეხვედრები, სადაც ხდება პრიორიტეტების გამოკვეთა და სტრატეგიული მიზნების დასახვა. შემუშავების პროცესში აქტიურად გამოიყენება გამოკითხვა, რაც დასტურდება როგორც გასაუბრების შედეგებით, ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (კითხვარები, პოტენციურ დამსაქმებელთა კითხვარების შედეგების ანალიზი).

გასაუბრების შედეგებით დასტურდება ადმინისტრაციის წარმომადგენლების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიულმა სტუდენტების ჩართულობა აღნიშნულ პროცესებში და ის რომ იცნობენ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელთა შემუშავებას წინ უძღოდა სხვადსხვა სახის შეხვედრები. აღნიშნულ აქტივობებთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა შეხვედრის ამსახველი ფოტომასალა და 2021 წლის 9 მარტს ჩატარებული კრების ოქმი № 02-05-15/4, რომლის თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების პროექტი, რომელიც მოწონებულ იქნა ავტორიზაციაზე პასუხისმგებელი ჯგუფის მიერ, გადაეცა უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად. **ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.**

3. წინა მონიტორინგის ფარგლებში აღნიშნულ ინდიკატორზე, ექსპერტთა მხრიდან გაიცა განმავითარებელი სახის რეკომენდაცია, რომ სამოქმედო გეგმაში დაცული იქნას ერთიანი მიდგომა, ყველა განსაზღვრულ ამოცანას მიეთითოს შემსრულებელი პირები. ახლანდელი ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების 2023 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს სტრატეგიული მიზნებისა და შესასრულებელი ამოცანების მისაღწევად საჭირო სხვადასხვა აქტივობას. წლიურ სამოქმედო გეგმაში ასევე განსაზღვრულია ინფორმაცია რესურსების შესახებ, განხორციელების ვადები, მიღწევის ინდიკატორებისა და პასუხისმგებელი სტრუქტურების შესახებ. ასევე განსაზღვრულ ამოცანებთან მიმართებით, გეგმაში მითითებულია შემსრულებელი პირებიც.

''ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის'' 7 წლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია რექტორის მიერ. დაწესებულების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა მოიცავს დაწესებულების მისიასთან თავსებად 5 ძირითად მიზანს: მისიისა და სტრატეგიული განვითარების, საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებების, ადამიანური რესურსებისა და მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების მიმართულებით. გეგმა ასევე მოიცავს ინფორმაციას აღნიშნული მიზნების შესაბამისი ამოცანების, განხორციელების ვადების, შესრულების ინდიკატორების, პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურებისა და რისკების შესახებ. შესრულების ინდიკატორები ზომავს სტრატეგიული ამოცანების მიღწევას, ხოლო სტრატეგიული ამოცანები ემსახურება სტრატეგიულ მიზნების მიღწევას. **შესაბამისად, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის,სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2021 წლის 12 აგვისტოს № 01-03/19 ბრძანებით დამტკიცებული ''სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია'';
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2018 წლის 28 დეკემბრის № 01-03/25 ბრძანებით დამტკიცებული ,'სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წესი'';
- 2021 წლის 9 მარტის, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციაზე პასუხისმგებელი ჯგუფის კრების ოქმი № 02-05-15/4 სტრატეგიული სა სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვის თაობაზე;
- გასაუბრების შედეგები;
- გამოკითხვის შედეგების ანალიზის დოკუმენტაცია, ფოტომასალა;

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ''სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წესი'', დამტკიცებული სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2018 წლის 28 დეკემბრის № 01-03/25 ბრძანებით, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის, შეფასების და ამ პროცესების განხორციელებისთვის საჭირო ეტაპებისა და პერიოდულობის შესახებ ინფორმაციას. ინფორმაციას მონაცემთა შეგროვებაზე, შედეგებსა და მიღებული შედეგების ანალიზისა და მასზე რეაგირების შესახებ. სასწავლო უნივერსიტეტს, ხარისხის მართვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამსახურის უშუალო მონაწილეობით შემუშავებული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მექანიზმები და ახდენს მათ სინქრონიზაციას დაწესებულების შიდარეგულაციებთან და პროცედურებთან. მონიტორინგის და შეფასების პროცესში ხდება მონაცემთა შეგროვება, როდესაც მონიტორინგის განმახორციელებელი პირები აგროვებს იმ დოკუმენტებს/ინფორმაციას, რომელიც მითითებულია კონკრეტული ამოცანის/აქტივობის შესრულების ინდიკატორის ველში, ხოლო შემდეგ ხდება უკუკავშირის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი შესრულების ინდიკატორთან მიმართებაში.

უნივერსიტეტის ბრძანებით განისაზღვრება მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია დაწესებულების აკადემიური პერსონალისაგან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლისა და პროფესიული სტუდენტებისგან. ჯგუფში ასევე შესაძლოა შედიოდეს გარე მოწვეული პირებიც. მონიტორინგის ჯგუფს ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის რექტორი, ან მისი წარმომადგენელი. ჯგუფი წელიწადში ორჯერ აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ანგარიშს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ, ძირითადი ინდიკატორების მიხედვით. სამოქმედო გეგმის და შესაბამისად სტრატეგიულ გეგმის შესრულებაზე მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის „სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წესის“ შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა მონიტორინგის ჯგუფის შეხვედრის ოქმი და 2023 წლის პროფესიული განათლების სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში. აღნიშნული ასევე დასტურდება გასაუბრების შედეგებით. **გამომდინარე აქედან, ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.**

2. დაწესებულებაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ერთმანეთთან სამ ძირითად ეტაპად არის დაკავშირებული. მონაცემთა შეგროვება, შეგროვებული მონაცემების ანალიზი და მიღებულ შედეგებზე რეაგირების მოხდენა. სასწავლო უნივერსიტეტი სისტემატიურად ატარებს სხვადასხვა სახის შეხვედრებს პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობით სადაც ხდება მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად მიღებული შედეგების გაცნობა, საკითხების შეჯერება და შეფასების შედეგებიდან გამომდინარე მიზნების მიღწევისთვის შემდგომი აქტივობების დაგეგმვა/ცვლილება. დაწესებულებამ წარმოადგინა შეხვედრის ამსახველი ფოტომასალები, დასწრების ფურცლები, ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სხვადასხვა აქტივობებსა და ამ აქტივობებზე პასუხისმგებელ პირებზე და პროფესიული განათლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში. წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და გასაუბრების შედეგებით, ექსპერტთა მოსაზრებით, **დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულებამ წარმოადგინა განათლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელიც მოიცავს 2023 წლის პირველ ნაწილს. ანგარიშების გაცნობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის დაწესებულება მართავს პერიოდულ შეხვედრებს დაინტერესებულ მხარეებთან. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი და განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეც. **შესაბამისად, იდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და დაწესებულებაში ხელმისაწვდომია სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში – 1 ნაწილი. 2023 წელი;
- ''სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წესი'' დამტკიცებული სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2018 წლის 28 დეკემბრის № 01-03/25 ბრძანებით;
- გასაუბრების შედეგები;
- დაწესებულების ვებ-გვერდი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა;
- წლიური სამოქმედო გეგმების მონიტორინგის პროცესის ამსახველი მტკიცებულებები;
- 2023 წლის, ა(ა)იპ. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია.

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში ექსპერტთა მიერ წინა ვიზიტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, ვინაიდან სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი რიგი პროფესიული სტუდენტების უფლებებთან და გარანტიებთან დაკავშირებული შიდა რეგულაციები ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას.

   დასკვნაში აღნიშნულია, რომ ,,დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 2 -ის მე-4 პუნქტის ჩანაწერების თანახმად: „თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის შეცვლის დროისთვის დარჩენილი კრედიტების მოცულობა აღემატება 30 კრედიტს, დაწესებულება ვალდებულია დაასრულებინოს პროფესიულ სტუდენტს ის სასწავლო კომპონენტი/მოდული, რომლის შესწავლაც დაწყებულია და მხოლოდ ამის შემდეგ გადაიყვანოს პროფესიული სტუდენტი მოდიფიცირებულ/შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და ინდივიდუალური გეგმით გააგრძელებინოს სწავლა“, აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგება პროფესიული განათლების შესახებ კანონის მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც ,,პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთერთი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით". დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 6-ის პირველი პუნქტის ჩანაწერების თანახმად: პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, თუ აღმოფხვრლი იქნება სტატუსის შეჩერების საფუძველი, სტუდენტის სტატუსის შეჩერების ერთ ერთი საფუძველია: კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ვადაში საჭირო კრედიტების აუთვისებლობა, გაუგებარია როგორ განახორციელებს დაწესებულება სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის შეჩერების საფუძველის აღმოფხვრას თუ მის აღდგენას არ განახორციელებს და არ შეუმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას".

დაწესებულებამ ექსპერტებს წარმოუდგინა უნივერსიტეტის რექტორის მიერ ბრძანებით № №01-03/6-12.03.2023 დამტკიცებული ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც გაწერილია, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, განმეორებითი შეფასების, გასაჩივრების, პროგრამის ცვლილების შემთხვევაში სწავლის დასრულების, ოკუპირებულ ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების და მატერიალურ - ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით და სხვა სასწავლო რესურსებით სარგებლობის შესახებ პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესების დაცვის საკითხები. აღნიშნული რეგულაციაში აღმოფხვრილია ექსპერტების მიერ იდენტიფიცირებული შეუსაბამობები და უზრუნველყოფილია სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის აღდგენა მისი უფლებებისა დაცვითა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კერძოდ, სტატუსშეჩერებული სტუდენტის აღდგენის წესში დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტში მუხლი 8-ში გაწერილია შემდეგი:

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, თუ აღმოფხვრილი იქნება სტატუსის შეჩერების საფუძველი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების აკადემიური საფუძვლის შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის აღსადგენად აუცილებელია ინდივიდუალური გეგმის შედგენა, რომლის ფარგლებშიც აღუდგება სტუდენტს სტატუსი და იგი სწავლას აგრძელებს ინდივიდუალური გეგმით პროგრამის იმ ეტაპიდან, საიდანაც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა იმ დაწესებულებაში, სადაც პირს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

4. თუ პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის იმავე დაწესებულებაში, რომელშიც პირს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, დაწესებულება აღარ ახორციელებს იმ პროგრამას, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სხვა პროგრამაზე მობილობის განხორციელების გზით.

5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები.

6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი კალენდარული დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან დაწესებულების მიერ ექსპერტთა წინა ვიზიტზე დაფიქსირებული ხარვეზი აღმოფხვრილია, ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია და დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიები,

2. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის პერიოდში შეხვდა პროფესიულ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ და საჭიროების შემთხვევაში იყენებენ მათ უფლებებსა და ინტერესების დაცვის მექანიზმებს. პროფესიული ცენტრის ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს მათ ინფორმირებას უფლება-მოვალეობისა და სერვისების შესახებ, ამასთან ახორციელებს კმაყოფილების კვლევას და ახდენს მათი სურვილებისა და რჩევების გათვალისწინებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულების მიერ შემუშავებულია „პროფესიული სტუდენტთა შეფასების სისტემა“ თანახმად, კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმსაზღვრელი შეფასებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს გამოკითხვას, პრაქტიკული დავალებას დაკვირვებით (პროცესზე დაკვირვება), პრაქტიკული დავალებას (პროდუქტს, როგორც მტკიცებულებას). დაწესებულების რეგულაციაში ასახულია ინფორმაცია საპატიო მიზეზის ან გაცდენის შემთხვევაში განმეორებითი გამოცდის დანიშვნის შესახებ 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. რეგულაცია ასევე ითვალისწინებს შეფასების გასაჩივრების მექანიზმებსაც. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგების გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს მიღებული შეფასება ან/და პროცედურული საკითხები და წერილობით მიმართოს სააპელაციო განაცხადით დაწესებულების დირექტორს;

ექსპერტთა ჯგუფის მიერ უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ დაწესებულება შიდა რეგულაციებში გაწერილი მექანიზმების შესაბამისად ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას შეფასების პროცედურებსა და შეფასების შედეგების გასაჩივრების შესახებ. ისინი იცნობენ სწავლის შედეგების შეფასების მიდგომებსა და პროცედურებს, ინფორმირებულნი არიან შეფასების შედეგების გასაჩივრების უფლების თაობაზე, თუმცა მათი თქმით, ამ უფლებით სარგებლობის აუცილებლობა არ დამდგარა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი 3.1.1.3 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლებენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.**

განმავითარებელი რეკომენდაციის სახით დაწესებულებას მიეცა რჩევა პროფესიული სტუდენტის შეფასების გასაჩივრების პროცედურაში სასურველია გაიწეროს კონკრეტული მოქმედების თანმიმდევრობა და ვადები უნივერსიტეტის შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტში.

4. დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის ურთიერთობებს. ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს: დაწესებულება ვალდებულია მისცეს პროფესიულ სტუდენტს ხარისხიანი პროფესიული განათლება, შეუქმნას უსაფრთხო და სათანადო მატერიალური რესურსებით სასწავლო გარემო, გააცნოს პროფესიულ სტუდენტს დაწესებულების შინაგანაწესი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სტუდენტის შეფასებასა და გასაჩივრებასთან დაკავშირებული მექნიზმები. პროფესიული სტუდენტი თავის მხრივ, ვალდებულია, დაიცვას შინაგანაწესით გათვალისწინებული ნორმები. პროფესიული სტუდენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში ეცნობა და ხელმოწერით ადასტურებს, რომ დაწესებულებას აძლევს უფლებას, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე დაამუშავოს მისი პერსონალური მონაცემები „პერსონალურ მონაცემთა დავის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. უნივერსიტეტში განსაზღვრულია შშმ/სსსმ პროფესიულ სტუდენტებთან თანამშრომლობის საკითხები, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმე, მათ შორის გადამოწმდა სტატუსშეჩერებული, აქტიური სტატუსის და კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ჩარიცხვის წინაპირობებთან პროფესიული სტუდენტების წინარე განათლების შესაბამისობა, ასევე შემოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტებით გასაზღვრულ დებულებებს. უნივერსიტეტს არ ჰყავს არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი **3.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.**

5. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავების მექანიზმს, რომლის თანახმად ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლოა შედგეს სსსმ პირისთვის, მობილობის წესით გადმოსვლისას, პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის აღდგენისას, მოდიფიცირებულ/ოპტიმიზებულ პროგრამაზე სტუდენტის გადაყვანისას. გასაუბრებისას დადგინდა, რომ დაწესებულებაში არ ჰყავს სსსმ/შშმ სტუდენტი, თუმცა აქვთ მზაობა და საჭიროების შემთხვევაში შეადგენენ მისთვის ინდივიდუალურ გეგმას უშუალოდ პროფესიული სტუდენტის ჩართულობითა და ინტერესების გათვალისწინებით.

ინდიკატორი **3.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „შინაგანაწესი“;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების გამოყენების წესი;
- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები და პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროფესიულ სტუდენტებთან და ადმინისტრაციულ/დამხმარე პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მომსახურება.

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში რექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“, რომლის თანახმად, პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტს შეუძლია კონსულტირების სერვისების მიღება როგორც მასწავლებლისაგან, ასევე ადმინისტრაციისაგან; ისინი სისტემატურად ახდენენ პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას სასწავლო პროცესთან, სწავლის შედეგების დადასტურებისა და განმეორებითი შეფასებასთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, პროფესიული სტუდენტს უტარდება განმავითარებელი შეფასებები და საჭიროების მიხედვით პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან შეუზღუდავად იღებს სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სწავლის მიღწევების გასაუმჯობესებლად. უნივერსიტეტის წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ დაწესებულება პროფესიული სტუდენტების კონსულტირებას აქტიურად ახდენს სხვადასხვა საკითხებთან, მათ შორის აკადემიურ მიღწევებთან მიმართებაში. კონსულტირებაში ჩართული არიან ადმინისტრაციული პერსონალიც. პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებასთან, ვაკანსიების მოძიებასთან, CV-ისა და სამოტივაციო წერილის შედგენასთან დაკავშირებით კონსულტირებისთვის შეუძლიათ მიმართონ სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელს და პროფესიული ცენტრის ხელმძღვანელს, რომლებიც აქტიურ დახმარებას უწევენ პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. ასევე, დაწესებულება ატარებენ მათი კმაყოფილების კვლევას, რომელიც ეხმარება უკეთ გამოავლინოს სტუდენტების საჭიროებები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტი დაწესებულებისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

2. დაწესებულება ახორციელებს პროფესიული სტუდენტების აქტიურ მხარდაჭერას მათი სწავლების ყველა ეტაპზე, რაც თვალნათელი იყო ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში დაკვირვებითა თუ ინტერვიუებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალი პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესს.

პროფესიული სტუდენტების სასწავლო გარემოში ადაპტაციაზე პასუხისმგებელი პირები აცნობენ სტუდენტებს შინაგანაწესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, უსაფრთხოების ნორმებს, როგორც უნივერსიტეტში არსებული სასწავლო გარემოსათვის, ისე პრაქტიკის ობიექტზე. სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციის ღონისძიების პრაქტიკაში გამოყენება და მათი ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიურების დროს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შესაბამისი ფოტო მასალა და შეხვედრების ამსახველი სხვა დოკუმენტაცია, მათ უტარდებათ სხვადასხვა სახის საინფორმაციო შეხვედრები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლება უსაფრთხოების საკითხებში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.**

3. დაწესებულების დებულებებში გაწერილია პროფესიული სტუდენტისათვის შეთავაზებული მომსახურებებისა და პროცედურების (სარეგისტრაციო, მობილობის, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გასაჩივრების და ა.შ.) ვადები. დაწესებულება საკუთარი სერვისების მიწოდებით ხელს უწყობს სტუდენტის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებას. კუნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროფესიულ მასწავლებლებსა და სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში მნიშვნელოვანია პროფესიული სტუდენტის ინტერესები და დადასტურდა, რომ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში იღებს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია, უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.**

4. უნივერსიტეტში მოქმედებს არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რომელთა მიზანია საკვანძო კომპეტენციების ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, ალტერნატიული გზებით გამომუშავების, პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესისა და სასწავლო გარემოს განვითარების ხელშეწყობა. სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერა რეგულირდება ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის დებულებით (მუხლი 2. სტუდენტური ინიციატივები და პროექტები) და რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარმოდგენისა და საუნივერსიტეტო გადაწყვეტილების მიღების წესით“. უნივერსიტეტს ჰყავს სტუდენტებისაგან დაკომპლექტებული კალათბურთის და ჩოგბურთის გუნდები დამონაწილეობას იღებენ რეგიონის მასშტაბით გამართულ ღონისძიებებსა და შეჯიბრებებში.

დაწესებულება გამოხატავს მზაობას სტუდენტური ინიციატივების მხარდასაჭერად, დამატებით დასახელდა რამოდენიმე აქტივობა და ექსკურსია. სტუდენტებთან ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ ადმინისტრაცია ყოველთვის მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს და აქტივობებს. გასაუბრებისას ასევე დადგინდა, რომ მუშაობს ე.წ. ჯგუფხელის სისტემა, სადაც სტუდენტური ინიციატივების ფორმირება და შესაბამისი სამსახურებისათვის მხარდასაჭერად წარდგენა ხდება. **ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.2.1.4 სრულადაა დაკმაყოფილებული .**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად დაწესებულება ატარებს მიზნობრივ კვლევებს კითხვარებისა და პირისპირ ინტერვიუს გამოყენებით, აწყობს შეხვედრებს ფოკუს-ჯგუფებთან პირისპირ, ან ონლაინ რეჟიმში. ამისათვის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მიზნობრივი კითხვარები. უნივერსიტეტის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილი პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები საჭიროებდა გადახედვას და განვითარებას; დაწესებულებას მიეცა **განმავითარებელი რეკომენდაცია განავითარონ კმაყოფილების კვლევის კითხვარები და ფოკუსირება მოახდინონ პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებაზე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესებისთვის.** ინტერვიუს დროს პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ დაწესებულება ყოველთვის რეგირებს პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირზე და ცდილობს გააუმჯობესოს მათი მომსახურება, თუმცა კმაყოფილების კვლევა მაინც საჭიროებს გადახედვას, რათა მოხდეს აშკარა გამოწვევის დადგენა და ანალიზის საფუძველზე რეალური მიზნების დასახვა მათ გამოსასწორებლად. მიუხედავად განმავითარებელი რეკომენდაციისა, **ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „შინაგანაწესი“;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა;
- პროფესიული ცენტრის და სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- კვლევების შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებული ხარისხის განვითარების გეგმით;
- პროფესიულ სტუდენტებთან და ადმინისტრაციულ/დამხმარე პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება.

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედ დებულებებში გათვალისწინებულია კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები, რომლის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის. დაწესებულებამ წარმოადგინა სტუდენტთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული მხარდაჭერის მიზნით დამსაქმებლებთან შეხვედრების, პროფესიული სტუდენტებისათვის მოწყობილი საინფორმაციო-სამოტივაციო ღონისძიებების მტკიცებულებები. ასევე, დაწესებულების განმარტებით სისტემატურად ტარდება პროფორიენტაციული ხასიათის შეხვედრები სკოლებში და დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდება ღია კარის დღეების საშუალებით

   ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.2.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული, რადგანაც კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია.

2. პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, დაწესებულებაში შექმნილია დამსაქმებელთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ბაზები. ბაზების შექმნაზე და მის მიწოდებაზე პასუხისმგებელია სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელი. დაწესებულება აწყობს შეხვედრებს დამსაქმებლებთან, ღია კარის დღეებს, პროფესიული სტუდენტების კონსულტირებას. უნივერსიტეტი რეგულარულად აწვდის ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ პირადად, სატელეფონო ან/და სოციალური ქსელების საშუალებით სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, რომლებიც მიღებულ კარიერულ სერვისებს აფასებენ დადებითად. პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირი მუდმივად ახორციელებს კომუნიკაციას პოტენციურ დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან. სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურსა და სტუდენტებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას მუდმივი კავშირი აქვს რეგიონში არსებულ პოტენციურ დამსაქმებლებთან. **ინდიკატორი 3.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

3. პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის, სასწავლო პროცესის, სერვისებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ტარდება პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კვლევა დასაქმებასთან დაკავშირებით. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა დასაქმების, მათ შორის პროფესიით დასაქმებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები. დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია (იხ. ინდიკატორი 3.2.1.5) დახვეწოს კვლევაში გამოყენებული ინსტრუმენტები, თუმცა, მიუხედავად განმავითარებელი რეკომენდაციისა, **ინდიკატორი 3.2.2.3 დაკმაყოფილებულია, უნივერსიტეტი ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.**
4. ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია კარიერული მომსახურეობის კვლევა. ამ მიზნის განსახორციელებლად, უნივერსიტეტი რეგულარულად ახორციელებს გამოკითხვებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების დასადგენად, იღებს უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, საჭიროების შემთხვევაში გადის დამსაქმებლებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან კონსულტაციებს. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია მუშავდება უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. დაწესებულების განმარტებით დღემდე კურდამთავრებულებისგან და დამსაქმებლებისგან რაიმე არსებითი და ღირებული ინფორმაცია პროგრამების გასაუმჯობესებლად ან სწავლების მიდგომებში რაიმეს შესაცვლელად არ მიუღიათ, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში აქვთ მზაობა მოახდინონ რეაგირება და გააუმჯობესონ მომსახურების ხარისხი. **ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.2.2.4 დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წინა ვიზიტის ფარგლებში დაფიქსირებული იყო ხარვეზები: დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და თანამშრომლებთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული შრომის კოდექსით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობა - შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა. ასევე, განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტები მოექცეს გარკვეულ სისტემაში, არ ხდებოდეს სხვადასხვა დასახელების დოკუმენტში იდენტური შინაარსის ინფორმაციისა და რეგულაციების დუბლირება. მაგალითად: რექტორის ფუნქცია-მოვალეობები იდენტური ტექსტით გვხვდება სამ სხვადასხვა დოკუმენტში. ესენია: „მართვის ორგანოების უფლება-მოვალეობები, ფუნქციები და არჩევის პროცედურები“(დამტკ. 2019 წლის 26 დეკემბრის №01-03/45 ბრძანებით); „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა“(დამტკ. 2021 წლის 25 ივნისი #01-03/05 ბრძანებით); „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება“ (დამტკ.2019 წლის 25 დეკემბერი №01-03/41 ბრძანებით).
   მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ხარვეზების გამოსწორების საკითხი და დღეისათვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, სადაც დეტალურადაა აღწერილი დაწესებულების სტრუქტურით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებული თითოეული თანამშრომლის სამუშაო აღწერილობა, ფუნქცია-მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები. თანამშრომელთა პირად საქმეებში განთავსებულია მათივე ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია პოზიციის ფუნქცია მოვალეობები. აღნიშნულის გაცნობა ევალება უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელს.

შესაბამისად, დღეისათვის დაწესებულების მიერ ხარვეზი აღმოფხვრილია, დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული და თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების გადამოწმებითაც დადგინდა, რომ მათში გათვალისწინებულია შრომის კოდექსით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობა - შესასრულებელი სამუშაოს სახე და აღწერილობა. ასევე, მოწესრიგებულია ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული მარეგულირებელი აქტები, დაწესებულებას გააჩნია სტრუქტურა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელზე დაყრდნობითაც მოახდენს პერსონალის მართვას. დაწესებულების მიერ შემუშავებული სამუშაო აღწერილობები შესაბამისობაშია დაწესებულების სტრუქტურასთან და სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესრულების შესაძლებლობას იძლევა. **ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 4.1.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პსდ-ს შემუშავებული აქვს სტრუქტურა, საშტატო ნუსხა და დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომლის იერარქია და ფუნქცია-მოვალეობების აღწერითი ნაწილი და სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება უზრუნველყოფს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის შესრულებას; ყველა თანამდებობრივი ერთეულისათვის ნათლად არის გამიჯნული თუ რა როლი აკისრიათ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების ნაწილში. ექსპერტთა შეფასებით წინა ვიზიტზე დაფიქსირებული ხარვეზი: ,,სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ვერ უზრუნველყოფს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას“ აღმოფხვრილია და შესაბამისად, **ინდიკატორი 4.1.1.2 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად პსდ-ს განსაზღვრული ჰყავს ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი, რომლის უფლება-მოვალეობები და ფუნქციები განსაზღვრულია, გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და იძლევა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების სისტემურად შეფასების შესაძლებლობას. აღნიშნულის გათვალისწინებით წინა ვიზიტის ფარგლებში დაფიქსირებული ხარვეზი: ,,დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს“ აღმოფხვრილია და **ინდიკატორი 4.1.1.3 შესაბამისობაშია, პსდ-ში მოქმედი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურა;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საშტატო ნუსხა;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის ხელშეკრულებები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სტრატეგიული გეგმა 2019-2025“
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სამოქმედო გეგმა 2023“ ;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუირება.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას.

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ- ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესის დოკუმენტი, სადაც გაწერილია სამუშაოზე მიღების - დასაქმების მსურველთა შერჩევისა და სამსახურში აყვანის წესი, სამსახურში მიღებისას წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი; შრომითი ურთიერთობების შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები. ასევე, დასაქმებულის უფლებები, მოვალეობები და ვალდებულებები. შინაგანაწესი მოიცავს დასაქმებულის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და წახალისებისა წესს. შინაგანაწესით დარეგულირებულია დასაქმებულისთვის შვებულების, მივლინების და ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების მექანიზმები. ასევე მოიცავ ახალი პერსონალის სამუშაო გარემოში ინტეგრაციისა და პერსონალის შეფასების მექანიზმებს.

   „ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის“ თანახმად ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი ხელშეკრულების გაფორმებამდე პასუხისმგებელია გააცნოს კანდიდატს შინაგანაწესი, იმ პოზიციის სამუშაო აღწერილობა, ფუნქცია-მოვალეობები, რომელზეც ის უნდა დასაქმდეს და პერსონალური მონაცემების დაცვის წესი. ინტერვიუებით დგინდება, რომ პერსონალი იცნობს ზემოაღნიშნული დოკუმენტების მოთხოვნებს და სამუშაოების განხორციელებისას განუხრელად იცავს მათ.

   ინდიკატორის 4.1.2.1. მოთხოვნები შესაბამისობაშია და პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

2. პერსონლის სამუშაოზე მიღების წესი განსაზღვრული აქვს შინაგანაწესში და „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში“-ში, რომლის მიხედვითაც პერსონალის მოზიდვა ხდება სხვადასხვა გზით: როტაციით, რეკომენდაციითა და სხვადასხვა პლატფორმაზე ვაკანსიის განაცხადის გამოქვეყნებით და კონკურსის წესით შერჩევით. დოკუმენტის მიხედვით პერსონალის შერჩევის პრინციპებია: ობიექტურობა, გამჭვირვალობა, საჯაროობა, კორექტულობა.

   კანდიდატის შერჩევა ძირითადად ხდება ვაკანსიის საკვალიფიკაციო და ფუნქცია-მოვალეობების მოთხოვნათა მიხედვით, გასაუბრებას ფასილიტაციას უწევს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების რექტორი და გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს კანდიდატის შესაბამის პოზიციაზე დანიშვნის შესახებ.

   მექანიზმებში გაწერილი პროცედურების ნათლად დასანახად ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი იქნა პროცესის ამსახველი მტკიცებულებები: ჩატარებული კონკურსის პირობები, ჯგუფის შემადგენლობა, შერჩევის დოკუმენტაცია (ქულები ან კენჭისრის აღრიცხვა), კითხვარები, გასაუბრების შედეგები და სხვა, რომელიც ადასტურებს აქამდე განხორციელებული პროცედურებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ობიექტურობასა და გამჭირვალობას. ასევე, ექსპერტთა მიერ გადამოწმებული იქნა, შეასრულა თუ არა განმავითარებელი რეკომენდაცია ,, უნივერსიტეტმა გაწეროს, თუ რა დოკუმენტაციას უნდა მოიცავდეს თანამშრომლის პირადი საქმის შემადგენლობა“ ექსპერტთა წინა ვიზიტის ფარგლებში და დადგინდა, რომ დაწესებულებას გაწერილი აქვს იგი სრულყოფილად. შესაბამისად, **ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია და პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;**

3. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეამოწმეს თანამშრომელთა პირადი საქმეები, რომლის შემადგენლობა შესაბამისობაშია შინაგანაწესითა და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. ასევე, დასაქმებულთა კვალიფიკაცია და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები CV, დიპლომი, სერთიფიკატი და სხვა აკმაყოფილებს „სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ აღწერილობას. წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გაცემული განმავითარებელი რეკომენდაცია ,, რეკომენდირებულია დაწესებულებამ დააზუსტოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უმაღლესი განათლების გარდა მოთხოვნებში, რიგი შემთხვევებისათვის/პოზიციებისათვის, დაუშვას პროფესიული განათლებაც. ასევე, სასურველია, მოდულების განმახორციელებელი პირების მიმართ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებში აისახოს მოდულის შესაბამისი სამუშაო გამოცდილების მოთხოვნაც“ შესრულებულია და დღეისათვის წარმოდგენილია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სადაც ბუღალტერს, ბიბლიოთეკარს და ზოგიერთ სხვა პოზიციას გაწერილი აქვს მინიმალურ განათლებად პროფესიული განათლება.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის 4.1.2.3 მოთხოვნები უზრუნველყოფილია, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

4. „ადამიანური რესურსების მართვის დებულების“ დოკუმენტის მიხედვით ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ერთ-ერთი პრინციპია გუნდურობა და პარტნიორობა.

გასაუბრებითა და მტკიცებულებების წარმოდგენით დასტურდება, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წევრები და პროფესიული მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართული გუნდურ სამუშაოებში და თანამონაწილეობით ქმნიან მნიშვნელოვან დოკუმენტებს. მაგალითად, ყველა თანამშრომელი ინფორმირებულია

უნივერსიტეტში მიმდინარე საკითხებისა და პრობლემების შესახებ. დაგეგმილი აქტივობების შესრულების მონიტორინგი გუნდური პრინციპით ხორციელდება. რექტორის ბრძანებით იქმნება შიდა მონიტორინგის ჯგუფი; ვაკანტურ პოზიციაზე კანდიდატის შერჩევისას დგება კომისია და სხვა. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებიც შემუშავებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის თანამონაწილეობით, ასევე თანამონაწილეობითი პროცესის შედეგად მოხდა შიდარეგულაციების გადახედვა, შემუშავება, რაც პერსონალმა დაადასტურა ინტერვიუებითა და წარმოდგენილი მატერიალური მტკიცებულებებით. **დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ სასურველია უნივერსიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესების შესახებ დაწესებულების მიერ შეგროვილი მატერიალური მტკიცებულებები გამდიდრდეს ფოტოებით, ოქმებითა და სხვა სახით.**

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის 4.1.2.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურა;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საშტატო ნუსხა;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის ხელშეკრულებები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმით;
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტებით/ინფორმაციით აქტივობების
- შესახებ.
- პერსონალთან ინტერვიუირება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე.

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში გაწერილია პერსონალის შეფასება, რომლის მიზანია, პერსონალის შემდგომი პროფესიული განვითარება, აგრეთვე უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის /სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება.

   პერსონალის შეფასება ხდება წინასწარ შედგენილი კითხვარების გამოყენებით სამოქმედო გეგმის შესაბამისად. ესენია: ადმინისტრაციული პერსონალის მიერ შევსებული კითხვარი; პროფესიული მასწავლებლების მიერ შევსებული კითხვარი; პროფესიული სტუდენტების მიერ შევსებული კითხვარი; კურსდამთავრებულების მიერ შევსებული კითხვარი; დამსაქმებლების მიერ შევსებული კითხვარი. შემსრულებლები არიან ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი და სტუდენტების მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელი, რომლებიც საბოლოო შედეგების ანალიზსს წარუდგენენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. პროფესიული მასწავლებლების შეფასება ასევე ხდება საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით მოდულის განხორციელებისას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი იქნა პროცესის განხორციელების მტკიცებულებები: შევსებული კითხვარები, შეფასების შედეგები, ანგარიშები, გაკვეთილზე დასწრების ამსახველი დოკუმენტაცია და სხვა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა, ჩატარებული კვლევის შედეგები, **თუმცა ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია დაწესებულებამ განავითაროს პერსონალის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარების საჭიროებათა კვლევის კითხვარები და თითოეული კითხვარი მოარგოს შესაფასებელი პირისათვის რელევანტური საჭიროების დადგენაზე, რაზეც მათ მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის 4.2.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.

2. დაწესებულებამ წარმოადგინა პერსონალის საქმიანობის კვლევისა და შეფასების შედეგებზე დაფუძნებული ხარისხის უზურნველყოფაზე პასუხისმგებელ პირის მიერ გაწერილი პერსონალის განვითარების გეგმა.

   ვიზიტის ფარგლებში აღნიშნული საკითხის განხილვისას დაწესებულებამ წარმოადგინა სხვადასხვა ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტები, აღნიშნეს, რომ ისინი ჩაერთნენ პროფესიული უნარების სააგენტოს ორგანიზებულ პროფესიული მასწავლებლების გადამზადების ტრენინგებშიც და მომავალშიც გეგმავენ ამ ტიპის აქტივობებს. **ექპერტთა მიერ დადგინდა, რომ ინდიკატორის 4.2.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულებაში ხორციელდება პერსონალის განვითარება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.**

   განმავითარებელი რეკომენდაციის სახით დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ უფრო ინტენსიურად მოახდინოს ადმინისტრაციული პერსონალის ტრენინგები პროფესიული განათლების მართვის თანამედროვე გამოწვევებისა და სიახლეების გასაცნობად.

3. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში სწავლების მიმართულებით პროფესიულ მასწავლებელთა განვითარების აქტივობების მტკიცებულებები წარმოადგინა. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს მათ პროფესიულ განვითარებას, ახორციელებს საჭიროების კვლევას. ექსპერტთა შეფასებით **ინდიკატორის 4.2.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;**

4. „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში გაწერილია ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის პროცესი, რომელსაც უზრუნველყოფს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანური რესურსების მენეჯერი, შესაბამისი სტრუქტურული ეთეულის მენეჯერი, (ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე), პროფესიული მასწავლებლები. პროცესის შედეგად ხდება ახალი თანამშრომლის ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან და კოლეგებთან, ვებ-გვერდის გაცნობა, უნივერსიტეტის შიდა არსებულ სოციალურ ქსელებსა და ჯგუფებში ჩართვა, მარეგულირებელ დოკუმენტების გაცნობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადმინისტრაციულ პერსონალთან, თანამშრომლებთან და პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრირება და სამუშაო პროცესში ჩართვა წარმატებით ხორციელდება.

ექსპერტთა შეფასებით **ინდიკატორის 4.2.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;**

5. დაწესებულებას შინაგანაწესში გაწერილი აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და დაკმაყოფილების პროცედურები.

   გასაუბრების შედეგად იკვეთება, რომ პერსონალს აქვს ინფორმაცია ინიციატივების დაფიქსირებასთან დკავშირებით; ამასთანავე ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტებში და აქვთ მზაობა, რაც სხვადასხვა მტკიცებულებებით დასტურდება.

   ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის 4.2.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ,,პერსონალის მართვის
- პოლიტიკით“;
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესით;
- ხარისხის უზრუნველყოფის წესით;
- უნივერსიტეტის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებით
- ტრენინგების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტით;
- პროგრამის განმახორციელებელი პირის კითხვარით;
- სამოქმედო გეგმით;
- ხარისხის სამოქმედო გეგმით;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინდიკატორი წინა წარმოების ფარგლებში შეფასდა შეუსაბამოდ, გამომდინარე იქიდან რომ დაწესებულების საქმიანობა არ იყო უზრუნველყოფილი შესაბამისი ინფრასტრუქტურით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. კერძოდ: დაწესებულება თხოვების ხელშეკრულებით ფლობდა უძრავ ქონებას შუახევში, სოფელი ტაკიძეებში, თუმცა შენობების ფლობა დასტურდებოდა მხოლოდ 2022 წლამდე, რაც ავტორიზაციის ვადაზე ნაკლებია. ახლანდელი მონიტორინგის ფარგლებში კი აღნიშნული ინტიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

   შენობა-ნაგებობების მფლობელობასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმა, და თხოვების ხელშეკრულება, რომელთა მიხედვითაც, სასწავლო უნივერსიტეტი ფლობს უძრავ ქონებას, რომელიც მდებარეობს შუახევის რაიონ სოფელ ტაკიძეებში, ხიჭაურში (საკადასტრო კოდით: 24.07.03.385). ხელშეკრულება გაფორმებულია 2021 წლის 2 დეკემბერს 10 წლის ვადით.

   სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის გამოყოფილი შენობა მოიცავს:

   ფოიეს, აუდიტორიებს: თეორიული სწავლების, კომპიუტერული ტექნიკითა და სხვა საჭირო რესურსებით აღჭურვილ გარემოებს, სამუშაო და მოსასვენებელ სივრცეს ადმინისტრაციული პერსონალისადა პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელ სივრცეს პროფესიული სტუდენტებისათვის, სივრცეს პროფესიულ სტუდენტთა სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისათვის, სანიტარიულ კვანძებს, სივრცეს არქივისთვის, ბიბლიოთეკას, სამედიცინო კაბინეტსა და სასადილო ოთახს.

   გარდა არსებული შენობა-ნაგებობისა დაწესებულებას კანონიერ მფლობელობაში აქვს სხვადასხვა სახის ძირითადი აღჭურვილობა - მატერიალური რესურსი. დაწესებულების სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსებით და სხვა სწავლის პროცესისთვის საჭირო დამატებითი რესურსებით, როგორიცაა დაფა, სტუდენტებისა და მასწავლებლის სამუშაო სკამები და მაგიდები, პროექტორები, კომპიუტერები. მოძრავი ქონებისა და სასწავლო რესურსის ფლობა დასტურდება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ბუღალტრული დოკუმენტაციით - ინვენტარიზაციის აქტით, რომლითაც დასტურდება ქონების/რესურსების ბალანსზე არსებობა. **წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად დგინდება, რომ ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით ავტორიზაციის ვადით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. წინა წარმოების ფარგლებში ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები არ იყო ხელმისაწვდომი შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის.
ახლანდელი ვიზიტისას ექსპერტთა მიერ, გადამოწმდა ინდიკატორის შესრულების პირობები. დაწესებულებას აქვს შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული გარემო, მათ შორის, სველი წერტილები და პანდუსები. ამასთან დაკავშირებით დაწესებულება, პროფესიული განათლების მიზნებისთვის გამოყოფილ შენობაში ასასვლელ კიბეებზე იყენებს კუსტარულად დამზადებულ ხის დასაკეც პანდუსებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დანიშნულემისამებრ. ხოლო, გარემოს უფრო ადაპტირებისთვის დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი სახის რეკომენდაცია **(იხილეთ 2.2.1-6 ინდიკატორის რეკომენდაცია)**
სასწავლო უნივერსიტეტის მარეგულირებელი წესის თანახმად, პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით. ლექციებს შორის, შესვენების პერიოდში მათ შესაძლებლობა აქვთ კვებისა და დასვენებისთვის ისარგებლონ დაწესებულების სამზარეულოთი, ღიაეზოთი, შემოქმედებითი საქმიანობისა და დასვენებისთვის გამოყოფილი ფართით და სხვა. გასაუბრებს შედეგებიდან იკვეთება რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ მარეგულირებელ წესებს და დადგენილი წესების ფარგლებში იყენებენ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურასა თუ სხვა სახის მატერიალურ-ტექნიკურ და საგანმანათლებლო რესურსებს. **ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების შემუშავებული რეგულაციებით, ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. რაც აგრეთვე დასტურდება პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით.**
3. ინდიკატორთან მიმართებით, წინა წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა მხრიდან გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ დაწესებულებას დოკუმენტურად გაეწერა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი, რომელშიც განსაზღვრული იქნება დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სასწავლო/სამუშაო და სხვა სივრცეების დასუფთავები წესი და პერიოდულობა. აღნიშნულ საკითხზე დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული ერთიანი წესი, თუმცა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება დამლაგებლებთან, რომელთა ფუნქცია-მოვალეობებით გაწერილია ნორმების დაცვისთვის საჭირო მათ მიერ განსახორციელებელი ქმედებები. გარდა მისა დაწესებულებას ჰყავს ექიმი, რომელიც სასწავლო უნივერსიტეტის ''სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების'' თანახმად, უფლებამოსილია განახორციელოს მონიტორინგი უნივერსიტეტის სველი წერტილებისა და სასადილოს ჰიგიენურ მდგომარეობაზე კომპეტენტურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირებთან ერთად.

ვიზუალური დათვალიერების შედეგად, ვლინდება, რომ სასწავლო უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ სივრცეებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, გამოყოფილია სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებზე პასუხისმგებელი პირები. რაც დასტურდება დასტურდება გასაუბრების შედგებითაც. დაწესებულების შენობას აქვს მოწესრიგებული სველი წერტილები, წყალმომარაგება, უზრუნველყოფილია ხელსაბანი სითხეებით, საშრობი ქაღალდებითა და სხვა საჭირო რესურსებით. **შესაბამისად, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.**

4. ინდიკატორი, წინა შემოწმების ფარგლებში შეფასდა შეუსაბამოდ. გამომდინარე იქიდან, რომ: შენობა-ნაგებობა არ იყო უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით.

ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს 2021 წლის 3 დეკემბრის წერილი #100–1002133743, შუახევის მუნიციპალიტეტის პასუხი გაზის მოწოდების ვადის შესახებ, რომლის თანახმადაც ხიჭაურში გაზიფიცირება უნდა მომხდარიყო 2023 წელს. დაწესებულების განცხადებით, გაზის შემოსვლამდე გაიმართებოდა ცენტრალური გათბობის შიდა ქსელი და უნივერსიტეტს ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფა უნდა დაესრულებინა 2023 წლის მაისში, როცა გაზი შევიდოდა ხიჭაურში.

მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ შუახევის რაიონში გაზიფიცირება დასრულებული არ არის და ეს პროცესები ისევ მიმდინარეობს, ვერ მოხდა დაწესებულების გაზიფიცირება დადგენილ ვადებში. თუმცა, ამასთან სასწავლო უნივერსიტეტმა დაიწყო ცენტრალური გათბობის ელექტროსისტემის გამართვა, რისთვისაც აქვს ცენტრალური გათბობის ქვაბი, საჭირო მასალები და უზრუნველყოფს სისტემის მოწყობას, რაც ასევე დასტურდება დათვალიერების შედეგებით. სასწავლო უნივერსიტეტში გათბობა ხორციელდებოდა ცალკეული ელექტრო გამათბობლებით, რასაც ასევე ადასტურებენ სტუდენტებიც. ხოლო, ამჟამად შენობის პირველ სართულზე დამონტაჟებულია ელექტრო ბატარიები და დაწესებულების პირველი სართული უზრუნველყოფილია გათბობით.

გამომდინარე იქიდან, რომ სასწავლო უნივერსიტეტი მდებარეობს მთიან რაიონში, სადაც დიდი რისკია ელექტროენერგიის გათიშვისა თუ რიგ შემთხვევებში გაზიფიცირების პროცესის შეფერხების, დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები ხელს შეუწყობს გათბობის სისტემის გამართულობას, როგორც გაზის (გაზიფიცირების პროცესის დასრულების შემდეგ) ასევე ელექტროსისტემის მეშვეობით რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია სამუშაო/სასწავლო პროცესის შეუფერხებლად მუშაობისთვის.

შესაბამისად, ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულება უზრუნველყოფს, შენობების გათბობის ელექტროსისტემით გამართვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. წინა მონიტორინგის ფარგლებში, ინდიკატორი შეფასდა, როგორც ხარვეზი, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას არ წარმოუდგენია შრომის უსაფრთხოების დებულება, სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გატარებული პრევენციული ღონიძიებების, დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარების მტკიცებულებები, არ ჰყავდა დასაქმებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და შესაბამისად არ მოქმედებდა კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები.

ახლანდელი ვიზიტისას დგინდება, რომ სასწავლო უნივერსიტეტს დასაქმებული ჰყავს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი, რაც დასტურდება დასაქმებული პირის პირად საქმეში არსებული აკრედიტირებული კურსის გავლის დოკუმენტით, რომელიც ვალიდურია 2025 წლამდე. უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს ''შრომის უსაფრთხოების განყოფილების დებულება'' და ''შრომის უსაფრთხოების მართვის წესი და მექანიზმები'', დამტკიცებული საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ, 2021 წლის 8 დეკემბრის № 01-03/26 ბრძანებით.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად, ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს. მათ შორის უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული ინსტრუქციების შემუშავებას და აღნიშნულის შესახებ დაწესებულების პერსონალის ინფორმირებას, სახანძრო უსაფრთხოების საშუალებებზე კონტროლს, სახანძრო ინსტრუქციის შემუშავებას, უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით რისკების შეფასებას, პრევენციასა და მართვას, რისკების პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებას, შრომის უსაფრთხოების ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების რეგულარულად ჩატარებას დაწესებულების პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის, რაც დასტურდება როგორც გასაუბრების შედეგებით, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ტრენინგზე დასწრების ფურცლები, ჟურნალის ჩანაწერი). **გამომდინარე აქედან, ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.**

6. დაწესებულებას შემუშავებული აქვს მექანიზმები, თუ როგორ ახდენს სასწავლო პროცესის საჭირო რესურსებით შეუფერხებელ უზრუნველყოფას და მათ შენახვა-გამოყენებას. კერძოდ, დაწესებულების '' სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის'' ფარგლებში შემუშავებულია ''სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალების შეძენის, ნედლეულის შენახვის და გახარჯულის აღრიცხვის პროცედურა და სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესი'', რომელიც მოიცავს ინფორმაციას თუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორ უნდა მოხდეს სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვა/შეძენა, შენახვა, გამოყენება, გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება და სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია.

გარდა ამისა, უნივერსიტეტის 2019 წლის 13 თებერვლის №01-03/23 ბრძანებით დამტკიცებულია ''ა(ა)იპ წმინდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის სპროფესიული სასწავლო პროგრამების სასწავლო მიზნებისათვის სჭირო მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები''. აღნიშნული რეგულაციის თანახმად, მასალებისა და ნედლეულის შესყიდვა ხდება მოდულის დაწყებამდე, ან საჭიროების შემთხვევასი მიმდინარეობისას. მასალა-ნედლეულის შეძენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ვარგისიანობის ხარისხი/ვადა გამოყენების მომენტისათვის. მათი შენახვა ხორციელდება შესაბამის ინსტრუქციებში მითითებული შენახვის წესების დაცვით, ხოლო სასწავლო წლის დასრულებისას შესაბამისი პირების ჩართულობით, ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება.

რეგულაცია ასევე მოიცავს ინფორმაციას სასწავლო მიზნებისათვის ორგანიზებულ ტექნოლოგიურ პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცისა და სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესის შესახებ. დაწესებულებაში უტილიზაცია ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით, ხოლო სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი ინახება სათანადო პირობების დაცვით, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით ან რჩება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მიზნებისათვის. წესში მითითებული პირობების კონტროლი ეკისრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ხოლო პასუხისმგებლობა შესაძლო შედეგებზე ეკისრება ფინანსურ და მატერიალურ დარგში ბუღალტერს, ფაკულეტის დეკანს და პროგრამის ხელმძღვანელს.

ინტერვიუს დროს, პროფესიულმა სტუდენტებმა და პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურებს რომ სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა საჭირო მასალებითა და ნედლეულით და ასევე დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნა დამატებითი დოკუმენტაცია მიღება-ჩაბარების აქტებისა და აღრიცხვის დოკუმენტაციის სახით. **შესაბამისად, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.**

7. სასწავლო უნივერსიტეტში დამტკიცებულია „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია სამსახურის მიზნების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამოცანების, ფუნქციებისა და პერსონალის შესახებ. აღნიშნული დებულება ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და მათ განვითარებაზე ზრუნვას, უნივერსიტეტის რესურსების და მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შესაბამისობის დადგენას ავტორიზაციის სტანდარტებთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებთან და ჩარჩო დოკუმენტებთან. გარდა ამისა, დაწესებულება ახორციელებს გამოკითხვას საბიბლიოთეკო, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსების შესახებ და ასევე პერიოდულ აღწერას/ინვენტარიზაციას. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ეფექტურად განხორციელებისათვის, უნივერსიტეტში ხორციელდება მონიტორინგი. ამასთან, სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს 2023 წლის ხარისხის სამსახურის სამოქმედო გეგმა, რომლის ერთ-ერთი ამოცანაა რესურსებით უზრუნველყოფის ვითარების ანალიზი. **შესაბამისად, ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.**

8. აღნიშნული ინდიკატორი, წინა წარმოების ფარგლებში, შეფასდა როგორც შეუსაბამო, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის განკუთვნილ შენობაში არ ჰქოდა ადაპტირებული სველი წერტილები და ამასთან, კიბეების არასრულად ადაპტირების გამო შეუძლებელი იყო სველ წერტილთან მისვლა.

ახლანდელი მონიტორინგის ფარგლებში, დგინდება, რომ დაწესებულებას აქვს შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული გარემო, მათ შორის, სველი წერტილები, რომლებიც უზრუნველყოფილია დამხმარე სახელურებით და პანდუსები. დაწესებულება, პროფესიული განათლების მიზნებისთვის გამოყოფილ შენობაში ასასვლელ კიბეებზე იყენებს კუსტარულად დამზადებულ ხის დასაკეც პანდუსებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დანიშნულემისამებრ. გარემოს უფრო ადაპტირებისთვის დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი სახის რეკომენდაცია **(იხილეთ 2.2.1-6 ინდიკატორის რეკომენდაცია).**

დათვალიერების შედეგად ასევე დგინდება, რომ დაწესებულების შენობა ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მარაგდება წყლით და აქვთ როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება და ვენტილაცია. სველი წერტილები აღჭურვილია ხელსაბანებითა და უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიუს დროს სანიტარულ კვანძებში წესრიგისა და სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთა დაცვის შესახებ უკმაყოფილება არ დაფიქსირებულა. **შესაბამისად, ექსპერტთა მოსაზრებით, შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია,**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

9. ვიზუალური დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ დაწესებულების შენობაში არსებულ სასწავლო/სამუშაო მიზნებისთვის განკუთვნილ სივრცეებსა და ბიბლიოთეკაში არის როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს სწავლისთვის/მუშაობისთვის საჭირო შესაბამის პირობებს.
10. დაწესებულებაში სამუშაო და სასწავლო სივრცეები ისეა გადანაწილებული, რომ ხელი არ შეეშალოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას. შესაბამისად, სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.
11. ვიზიტის ფარგლებში, დათვალიერებულ იქნა დაწესებულების ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი, რომლებიც აღჭურვილია ინტერნეტკავშირით, უზრუნველყოფილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკითა და საგანმანათლებლო რესურსებით. ბიბლიოთეკა მდებარეობს დაწესებულების ეზოში მდგარ სხვა კორპუსში შენობის პირველ სართულზე. შენობის შესასვლელი უზრუნველყოფილია შშმ პირებისათვის ასასვლელი პანდუსით. ბიბლიოთეკა ასევე აღჭურვილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილი და სხვა დამატებითი სასწავლო რესურსებით, რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. პროფესიულ სტუდენტებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს შეუძლიათ ისარგებლონ წიგნის გატანის სერვისით, რიგ შემთხვევებში ხელმისაწვდომი რესურსების ელექტრონული გადაწერის შესაძლებლობით ან ადგილზე გამოიყენონ არსებული სასწავლო რესურსები.

    დაწესებულებას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც პასუხისმგებელია ბიბლიოთეკაში არსებული როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობაზე. იგი საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად უზრუნველყოფს წიგნების აღრიცხვას, ჟურნალში გატარებასა და კატალოგში დამატებას. ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

    სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ საბიბლიოთეკო რესურსებით დაწესებულების „ბიბლიოთეკის დებულების“ შესაბამისად. დაწესებულებას რექტორის, 2019 წლის 25 იანვრის № 01-03/04 ბრძანებით (ცვლილება 2023 წლის 6 მარტის № 01-03/02) დამტკიცებული აქვს „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულება“ და „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ‘’ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ მოიცავს ინფორმაციას საბიბლიოთეკო რესურსებისა და ამ რესურსებით სარგებლობის უფლებების, საბიბლიოთეკო დოკუმენტის გატანა-დაბრუნების, მომხმარებლის უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების, სამუშაო განრიგისა და სხვა ზოგადი დებულებების შესახებ.

დაწესებულება ასევე სისტემატიურად ახორციელებს სტუდენტთა გამოკითხვას საბიბლიოთეკო რესურსებთან და მათ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, რაც დასტურდება სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებითაც. **ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ‘’ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2023 წლის 6 მარტის № 01-03/2 ბრძანებით დამტკიცებული ‘’ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები’’
- ‘’სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი’’;
- ‘’ა(ა)იპ წმინდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის სპროფესიული სასწავლო პროგრამების სასწავლო მიზნებისათვის სჭირო მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები’’, დამტკიცებული 2019 წლის 13 თებერვლის №01-03/23 ბრძანებით;
- 2019 წლის 7 თებერვლის აქტი სახანძრო უსაფრთხოების პირობების შემოწმების შესახებ;
- ’’შრომის უსაფრთხოების განყოფილების დებულება’’ დამტკიცებული საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ, 2021 წლის 8 დეკემბრის № 01-03/26 ბრძანებით;
- ‘’შრომის უსაფრთხოების მართვის წესი და მექანიზმები’’, დამტკიცებული საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ, 2021 წლის 8 დეკემბრის № 01-03/26 ბრძანებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სახანძრო უსაფრთხოების წესის დანართი N1 ‘’ხანძრის შემთხვევაში პერსონალის ევაკუაციისა და სათანადო მოქმედებების ინსტრუქცია’’ ;
- 2021 წლის 3 დეკემბრის აქტი N209 სახანძრო უსაფრთხოების პირობების შემოწმების შესახებ;

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინდიკატორი, წინა წარმოების ფარგლებში შეფასდა როგორც ხარვეზი, გამომდინარე იქიდან, რომ 2019 წლის 5 თებერვალს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შემოწმდა დაწესებულება სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც შეადგინა შესაბამისი შეფასების აქტი და მიწერილობა (07.02.2019 N2/1), რომლის თანახმად, დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შედეგად გამოვლინდა შეუსაბამობები, რომლებიც საჭიროებდა გამოსწორებას. კერძოდ, საევაკუაციო გასასვლელის რაოდენობისა და მდგომარეობის, ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგებისა და ონკანების მოწესრიგებას, სახანძრო სიგნალიზაცია და ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლის და ევაკუაციის მართვის სისტემის დამონტაჟებას, სტანდარტთან შესაბამისი საევაკუაციო გეგმებისა და სათანადო რაოდენობის ცეცხლმაქრების გამართვას და სხვა.
   ახლანდელი ვიზიტის ფარგლებში ექპერტთა მიერ დათვალიერდა დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყოფილი შენობები, საიდანაც დგინდება, რომ სასწავლო უნივერსიტეტის ყველა ფართი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობებით, ცეცხლმაქრებით, შენობაში გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, დაწესებულებას ჰყავს უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს შესაბამის მეთვალყურეობასა და პერიოდულად ინსტრუქტაჟების ჩატარებას. ინდიკატორის შემოწმების ფარგლებში, დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობების მდგრადობის შესახებ დასკვნა, რაც ადასტურებს, რომ საგანმანათლებლო პროცესისათვის განკუთვნილი შენობები მდგრადი და უსაფრთხოა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპლუატაციისათვის.

სასწავლო უნივერსიტეტმა ასევე წარმოადგინა რექტორის 2021 წლის 2 დეკემბრის წერილი, რომლითაც მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსს და მოითხოვა უნივერსიტეტის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება. 2021 წლის 3 დეკემბერს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა განახორციელა დაწესებულების სახანძრო-ტექნიკური შემოწმება და შეადგინა შესაბამისი შეფასების აქტი N209. აქტის თანახმად, შემაჯამებელი შეფასება ობიექტის შესაბამისობის შესახებ გაკეთდა როგორც შეუსაბამო, გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულებას გასატარებელი ჰქონდა რიგი ღონისძიებები.

აღნიშნული აქტის შედგენის შემდეგ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რექტორის 2021 წლის 9 დეკემბრის წერილით (N 01-16/74), უნივერსიტეტმა მიმართა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის უფროსს, რომ შედგენილი აქტი #209-ის საფუძველზე გაეკეთებინა მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხრვაზე. ამასთან, წერილით უნივერსიტეტმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს მიაწოდა ინფორმაცია უნივერსიტეტში Covid19-ით გამოწვეული პანდემიის გამო, სასწავლო პროცესების დისტანციურად მიმდინარეობის შესახებ და ითხოვა მიწერილობაში უსაფრთხოების დარღვევების აღმოფხვრისა და შესრულების ვადები განესაზღვრათ 2025 წლიდან. დაწესებულებასა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შორის გრძელდება მოლაპარაკებები, რომლის დასრულების შემდგომ გადაწყდება აღნიშნული საკითხი და დაწესებულება წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტებს.

გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულებას აქვს მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის თაობაზე და განხორციელების ვადებთან დაკავშირებით ახორციელებს მოლაპარაკებას შესაბამის სამსახურთან, ამ ეტაპისთვის ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის. შესაბამისად, ინდიკატორი ექსპერტთა მხრიდან ფასდება როგორც ''არ შეესაბამება''.

2. დაწესებულებას სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 6 მარტის № 01-03/2 ბრძანებით დამტკიცებული აქვს "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები''. გარდა ამისა, უნივერსიტეტს შრომით ურთიერთობაში ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი - ექთანი, რის დასტურადაც წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია. ექთნის ვალდებულებები და უფლებამოსილებები რეგულირდება უნივერსიტეტის ''სამედიცინო დახმარების მექანიზმის'' დოკუმენტითა და მასზე დაკისრებული ფუნქცია მოვალეობებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, უზრუნველყოფილი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელი აღჭურვილობით. სტუდენტები და უნივერსიტეტში დასაქმებული პირები ინფორმირებულნი არიან პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებისა და კაბინეტის განრიგის მუშაობის შესახებ. ექთანი ასევე აწარმოებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შესახებ სარეგისტრაციო ჟურნალს და წელიწადში ერთხელ ატარებს უნივერსიტეტში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საინფორმაციო–სასწავლო მეცადინეობას. **ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.**

3. ინდიკატორი წინა წარმოების ფარგლებში, შეფასდა როგორც შეუსაბამო, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშვებული და კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი. არ ჰქონდა განსაზღვრული საგანგებო სიტუაციების მართვაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, მათი ვალდებულებები და უფლება-მოვალეობები, ასევე არ ჰქონდა ჩატარებული ხანძარსაწინააღმდეგო და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ინსტრუქტაჟები.
ახლანდელი ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული "საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა" . შესაბამისად, ხარვეზი აღმოფხვრილია და ინდიკატორი შეფასდა როგორც "სრულ შესაბამისობაში".
4. დაწესებულების შენობა-ნაგებობის შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი კამერები და ფუნქციონირებს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს დაწესებულებისდაცვის თანამშრომლები, რომლებთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. წესრიგის დაცვისა და სხვა დისციპლინური პასუხისმგებლობები გაწერილია უნივერსიტეტის შინაგანაწესით. უნივერსიტეტის შენობაში და მის ტერიტორიაზე არსებული ვიდეო-კამერების ფუნქციონირების გამართულობის მხარდაჭერას უზრუნველყოფს საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება. დაწესებულების სტუდენტები და ადმინისტრაციული პერსონალი ინფორმირებულია წესრიგის დაცვის მექანიზმების შესახებ. *<u>გამომდინარე აქედან,</u>* **<u>დაწესებულება</u> საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ, მის მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე, უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 2019 წლის 7 თებერვლის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობა N2/1;
- რექტორის 2021 წლის 2 დეკემბრის წერილი, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსისთვის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების მოთხოვნის შესახებ;
- 2021 წლის 3 დეკემბრის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შედგენილი სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შეფასების აქტი N209;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2021 წლის 14 დეკემბრის წერილი (წერილის პინი: MIA 9 21 03282165);
- დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ;
- სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 6 მარტის № 01-03/2 ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები";
- პირველადი სამედიცინო დახმარებაზე პასუხისმგებელი პირის პირადი საქმე;
- პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შესახებ სარეგისტრაციო ჟურნალი;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარისა და საშუალებების შესყიდვის დოკუმენტაცია;
- 2018 წლის 27 დეკემბრის № 01-03/20 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები".
- წესრიგის დაცვის რეგულაციები;
- დათვალიერების შედეგები;
- წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ;
- პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიუს შედეგები (პირველადი გადაუდებელი დახმარების შესაძლებლობის არსებობის შესახებ ინფორმაციის ფლობის შესახებ, წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების ნაწილში კმაყოფილების შესახებ);
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული ,,საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა";

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების შენობები აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. შენობაში ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო ასევე კაბელიანი ინტერნეტი, რაც დადასტურდება ვიზიტის დროს ადგილზე გადამოწმებითა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინტერნეტის საფასურის გადახდის დოკუმენტაციით. **შესაბამისად, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.**
2. სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა სასწავლო-სამეცნიერო პროცესების მართვა ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. დაწესებულებას შემუშავებული აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის/ოფიციალური ვებ-გვერდის ადმინისტრირების წესები, დამტკიცებული აქვს ''საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების დებულება'', ''ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სისტემების მართვის პოლიტიკა''. აღნიშნული რეგულაციებით გაწერილია თუ როგორ ხდება უნივერსიტეტში საინფორმაციო ტექნოლოგიების პროცესის მართვა და მონაცემთა დაცვა.

უნივერსიტეტს გააზრებული აქვს IT რისკები, ახდენს რისკების შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში ადეკვატურად რეაგირებს ამ რისკების თავიდან აცილებაზე და ახორციელებს საპრევენციო ღონისძიებების გატარებას, როგორიცაა პროგრამების განახლება, ანტივირუსების განახლება, სარეზერვო ასლების შექმნა და სხვა. უნივერსიტეტი ქსელის მართვაში იყენებს ქსელის მონიტორინგის სისტემებს, ქსელისა და სისტემების უსაფრთხოების მართვის სისტემას, რომელიც მოიცავს ანტივირუსს, აპლიკაციების კონტროლს (არასაჭირო და საფრთხის შემცველი აპლიკაციების დაბლოკვა), ასევე ვებ-ფილტრს, რომლითაც ხდება 18+ და ონლაინ კაზინო კონტენტის შემცველი ვებ გვერდების შეზღუდვა.

სასწავლო უნივერსიტეტში ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის განხორციელებასა და განახლებაზე უფლებამოსილია კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულებაში ინფორმაციული უსაფრთხოების პერიოდულ მონიტორინგს, ინციდენტების შეგროვებას, მათზე რეაგირების მექანიზმების შემუშავებას და შესაბამისი ანგარიშების წარდგენას. განყოფილებას ჰყავს პასუხისმგებელი პირი, საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების ხელმძღვანელი, რომლის საქმიანობაც ასევე მოიცავს უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის საჭირო აქტივობების განხორციელებას. **ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;**

3. ინდიკატორი წინა მონიტორინგის ფარგლებში შეფასდა, როგორც ხარვეზი, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ არ წარმოადგინა არანაირი მტკიცებულება პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. არც დაწესებულების რეგულაციით არ იყო გაწერილი პერსონალისა და სტუდენტების პერსონალური მონაცემების დაცვასთან მიმართებაში რაიმე მექანიზმი, შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება არ უზრუნველყოფდა პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

ახლანდელი წარმოების ფარგლებში კი ინდიკატორის მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილებულია. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, პერსონალური მონაცემთა დაცვის მიმართულებით, ხელმძღვანელობენ კანონით დადგენილი წესით. დაწესებულებას მარეგულირებელი დოკუმენტაციის ფარგლებში, შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი, რომელიც შესაბამისობაშია ''პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო უნივერსიტეტმა წარმოადგინა რექტორის, 2021 წლის 8 დეკემბრის ბრძანებით № 01-03/26 დამტკიცებული დოკუმენტი: ''პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი და დაცვის მექანიზმები'', რომელიც მოიცავს ინფორმაციას პერსონალური მონაცემების, მისი დამუშავების, მართვის, შენახვისა და სხვა ზოგადი ტერმინებისა და განმარტებების შესახებ. დოკუმენტს აქვს დანართი N1 თანხმობის ფორმა '' პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ''. აღნიშნული ფორმები დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა პერსონალის და სტუდენტთა მიერ შევსებული და ხელმოწერილი სახით, რომელთა გაცნობისა და თანხმობის გაცემის შესახებ ინფორმაცია ასევე დადასტურდა გასაუბრების შედეგებიდან.

რეგულაციის თანახმად, პერსონალურ მონაცემად შეიძლება ჩაითვალოს - ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ, ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. ასეთ ინფორმაციას შესაძლოა წარმოადგენდეს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით გაკეთებული ჩანაწერი, ვებგვერდზე განთავსებული, პირად საქმეში არსებული, ან სხვა სახით გასაჯაროებული ინფორმაცია, რომელთა დამუშავებაც ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის „პერსონალური მონაცემთა დაცვის მექანიზმების " შესაბამისად. **გამომდინარე აქედან, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.**

4. დაწესებულების გააჩნია შესაბამისი მექანიზმები, რომელიც აფასებს როგორც IT ინფრასტრუქტურის, ისე პროცესების ეფექტიანობას და ახორციელებს მის გაუმჯობესებას. სასწავლო უნივერსიტეტში ელექტრონული სისტემების დანერგვა და განვითარების მექანიზმების თანახმად კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს ინფორმაციული უსაფრთხოების პერიოდულ მონიტორინგს, ინციდენტების შეგროვებას, მათზე რეაგირების მექანიზმების შემუშავებას. იდენტიფიცირებული საჭიროების განხილვა-ანალიზში მონაწილეობენ სისტემის მომსახურებაში ან/და გამოყენებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები.

ინფორმაციული ტექნოლოგიების, ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების განვითარების/დანერგვის საჭიროების იდენტიფიცირება ხდება: უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის, უნივერსიტეტში დანერგილი სერვისებისა და სისტემების ოპტიმიზაციის/განვითარების, კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვიდან ან სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე. სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია ელექტრონული პლატფორმების გამოყენებისათვის აუცილებელი IT ინფრასტრუქტურა, რაც ხელს უწყობს სასწავლო/სამუშაო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებას, რისთვისაც დაწესებულება აუმჯობესებს IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას და ახალი სისტემების დაგეგმვისა და დანერგვის პროცესში ითვალისწინებს სისტემების ტექნიკურ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფუნქციურ შესაძლებლობებს, რათა არ მოხდეს სასწავლო, სამეცნიერო და საუნივერსიტეტო საქმიანობის გამართული მუშაობის შეფერხება. **შესაბამისად, განხილული დოკუმენტაციისა და გასაუბრებების შედეგებით დასტურდება, რომ დაწესებულება აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.**

5. სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია სასწავლო პროცესისა და ადმინიტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომელიც აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერული ტექნიკით. დაწესებულებაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მისი პერსონალისა და სტუდენტებისათვის. თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, ასევე შეუძლიათ ნებისმიერ დროს ისარგებლონ საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების მომსახურებითა და კონსულტაციით.

   სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელს აქვს საკუთარი, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. სასწავლო აუდიტორიებში განთავსებულია ინტერნეტითა და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი კომპიუტერებით, რომლითაც სარგებლობენ პროფესიული განათლების მასწავლებლები და სტუდენტები. პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ ასევე ისარგებლონ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში განთავსებული კომპიუტერებით, სადაც მათთვის ხელმისაწვდომია პრინტერი, სკანერი, ქსელური და უკაბელო ინტერნეტი, რომლით სარგებლობაც შესაძლებელია შეუფერხებლად, პაროლის გარეშე. დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა ასევე რეგულირდება უნივერსიტეტის სასწავლო უნივერსიტეტის მარეგულირებელი წესით. **გამომდინარე აქედან, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.**

6. სასწავლო უნივერსიტეტში გამოიყენება სხვადასხვა სახის ელექტრონული სერვისები და სისტემები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება შესაბამისი ჯგუფების (სტუდენტების/პერსონალის) ინფორმირება.

   დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაინტერესებულ მხარეებთან და სტუდენტებთან კომუნიკაციის მიზნით, დაწესებულება აქტიურად იყენებს ელექტრონული ფოსტის მისამართებს. დაწესებულებას შექმნილი აქვს სტუდენტთა და თანამშრომელთა ელექტრონული ფოსტების ერთიანი ბაზები. გარდა ამისა, სასწავლო უნივერსიტეტი შესაბამისი ჯგუფების (სტუდენტების/პერსონალის) ინფორმირებისა და კომუნიკაციისათვის იყენებს სხვადასხვა დახურულ ჯგუფებსა და ე.წ ჩატებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სოციალურ ქსელში, აღნიშნული დასტურდება სტუდენტთა მხრიდან გასაუბრების შედეგებითაც. გამომდინარე აქედან, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და სასწავლო უნივერსიტეტში დასტურდება ერთიანი საკომუნიკაციო არხების გამოყენების პრაქტიკა. **შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს, უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 29 იანვრის № 01-03/11 ბრძანებით დამტკიცებული ''საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების დებულება'' (ცვლილება 2023 წლის 6 მარტის № 01-03/02)
- 2019 წლის 30 იანვრის № 01-03/16 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის საწავლო უნივერსიტეტის ''ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სისტემების მართვის პოლიტიკა''
- IT უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთა ფუნქცია-მოვალეობები
- უნივერსიტეტის რექტორის, 2021 წლის 8 დეკემბრის ბრძანება № 01-03/26-ით დამტკიცებული დოკუმენტი: ''პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი და დაცვის მექანიზმების'' შესახებ;
- დანართი N1 თანხმობის ფორმა '' პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ''
- ინტერნეტით უზრუნველყოფის დამატასტურებელი დოკუმენტაცია;
- 2023 წლის 3 იანვრის დომენის/ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- სოციალური ჯგუფის გვერდი/დაწესებულების ვებ-გვერდი;
- გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები;

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წინა წარმოების ფარგლებში, აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით გაიცა განმავითარებელი სახის რეკომენდაცია: საქმისწარმოების ინსტრუქციაში გაიწეროს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების დაწესებულების საქმისწარმოების წესი, რომლითაც გაწერილია დოკუმენტის შესრულების პროცედურა და ვადები.

სასწავლო უნივერსიტეტს დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ინსტრუქცია, რომლის ძირითადი მიზანია დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, მათი შედგენისა და გაფორმების ხარისხის გაუმჯობესება, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით დოკუმენტური ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობების შექმნა და ეფექტური სამუშაო პროცესის უზრუნველყოფა. აღნიშნული წესის ფარგლებში, განისაზღვრება დაწესებულებაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემა, ადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში დოკუმენტებზე მუშაობის წესს, რექტორის ბრძანებების, სხვადასხვა სახის კორესპონდენციების მომზადების წესებსა და სხვა დამატებით საკითხებს.

საქმისწარმოების ინსტრუქციის თანახმად ფიზიკურად შემოსული და გასული კორესპონდენციის მიღება და აღრიცხვა ხდება კანცელარიაში სპეციალურ ჟურნალებში, სადაც დოკუმენტები გადიან პირველად დამუშავებასა და რეგისტრაციას. კანცელარიაში დოკუმენტები რეგისტრირდება მიღებისთანავე რეგისტრაციის ნომრით, შტამპით, შემოსვლის თარიღისა და ფურცლების რაოდენობის აღრიცხვით, აღნიშნული დასტურდება გადამოწმების შედეგებით. უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში საქმისწარმოების წესის დაცვაზე ზედამხედველობა ეკისრებათ ამ სტრუქტურული ერთეულების უფროსებს, ხოლო უნივერსიტეტის თანამშრომლებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა სამსახურეობრივი დოკუმენტის მოვლის, დაცვისა და მათში ასახული ინფორმაციის სიზუსტეზე.

საქმისწარმოების ინსტრუქციით ასევე განსაზღვრულია ინფორმაცია შემოსული დოკუმენტების დამუშავების წესის (მიღება, რეგისტრაცია, განაწილება) შესახებ, დოკუმენტების შესრულების ვადების, შესრულებაზე კონტროლის, დოკუმენტების მოძიების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეთანხმების, დამკიცებისა და ბეჭდების დასმის შესახებ. **ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.**

2. ინდიკატორი წინა წარმოების ფარგლებში შეფასდა როგორც ხარვეზი, გამომდინარე იქიდან, რომ სასწავლო უნივერსიტეტი არ იყენებდა ელექტრონული საქმისწარმოების სისტემას. დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა 2021 წლის 28 ივნისით დათარიღებული ხელშეკრულების ფორმა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (eflow) ერთი მომხმარებლისათვის შესყიდვის შესახებ, თუმცა წარმოდგენილი ხელშეკრულება არ იყო ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

   ახლანდელი მონიტორინგისას გადამოწმდა აღნიშნული ინდიკატორის შესრულების პირობები. დაწესებულებამ წარმოადგინა რექტორის 2021 წლის 2 დეკემბრის #01-1/19 და 2021 წლის 14 დეკემბრის #01-16/76 წერილები, რომელთა თანახმადაც სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურისგან შეისყიდა საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემა - eDocument, ხოლო მომსახურების ვადად განისაზღვრა 2025 წლია 31 იანვარი, რომლის ანგარიშსწორებასაც დაწესებულება უზრუნველყოფს ყოველწლიურად.

   სასწავლო უნივერსიტეტი თავისი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე ახორციელებს სხვადასხვა სახის თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას. როგორიც არის, ვებგვერდი, რომლის საშუალებითაც ხდება დაინტერესებული პირებისთვის სხვადასხვა სახის ინფორმაციის გაცნობა, ელექტრონული ბიბლიოთეკა, სოციალური გვერდი, ელექტრონული ფოსტის მისამართები, MS Office-ს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები, ელექტრონული ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და სხვა. დაწესებულება ასევე იყენებს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემას. დოკუმენტაციის ბრუნვის ელექტრონული სისტემა, უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მიღებული, შესრულებული და შექმნილი დოკუმენტების ელექტრონულ მოძრაობას, რომლის მეშვეობითაც სხვადასხვა სახის კორესპონდენცია იგზავნება და მიიღება ელექტრონულად. **გამომდინარე აქედან, დაწესებულების მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის.**

3. დაწესებულებაში პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. ვიზიტის ფარგლებში, პასუხისმგებელმა პირმა, უზრუნველყო ბაზაში შეტანილი ინფორმაციის ჩვენება, რომლის ფარგლებშიც, შერჩევითი სახით გადამოწმდა სისტემაში ინფორმაციის ასახვის საკითხები კანონმდებლობით დადგენილი წესსა და ვადებთან მიმართებით, რისი გადამოწმების შედეგებიც დამაკმაყოფილებელია. **შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, სრულყოფილი ინფორმაციის ასახვას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ინდიკატორი, წინა მონიტორინგის ფარგლებში შეფასდა, როგორც ხარვეზი, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება დროულად არ აწვდიდა ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და არ თანამშრომლობდა მათთან. მაგალითად, ვიზიტის დროს დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა თვითშეფასების შევსებული ფორმა, მაგრამ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს არ წარუდგინა თვითშეფასების ანგარიში დადგენილ ვადებში. აღნიშნული ინდიკატორი გადამოწმდა ახლანდელი წარმოების ფარგლებში, რასთან მიმართებითაც ირკვევა, რომ სასწავლო უნივერსიტეტი მართვისას იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს. კერძოდ, დაწესებულება იყენებს საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემას (Edoc), რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულებაში შემოსული, შესრულებული და შექმნილი დოკუმენტების ელექტრონულ მოძრაობას. დაწესებულებას ასევე ჰყავს პირი, რომელიც პასუხისმგებელია სხვადასხვა უწყებებთან სწორი და დროული კომუნიკაციის განხორციელებაზე. აღნიშნული საკითხი შემოწმდა ასევე ვიზიტისას, პასუხისმგებელი პირის მიერ, მიღებული/გაგზავნილი ბოლო კორესპონდენციის ფარგლებში, რომლის შედეგებიც სრულად შეესაბამება აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნებს. **შესაბამისად, დგინდება, რომ დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების საქმისწარმოების წესი;
- საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (პროგრამული უზრუნველყოფა);
- რექტორის 2021 წლის 2 დეკემბრის #01-1/19 და 2021 წლის 14 დეკემბრის #01-16/76 წერილები, საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემა - eDocument- ის შესყიდვის შესახებ;
- მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენცია / შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- გასაუბრების შედეგები (ადმინისტრაციის, კანცელარიის წარმომადგენელთან, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვაზე პასუხისმგებელ პირთან);

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი, შემდეგი მისამართით: https://tbeli.ge/ge/home და სოციალური ქსელის გვერდი: https://www.facebook.com/people/tbeli.ge ორივე სახის გვერდზე განთავსებულია დაწესებულების ძირითადი საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომრები, ელ-ფოსტის მისამართი, ვებ-გვერდის მისამართი).

   სოციალური ქსელი იძლევა დაწესებულებასთან ინტერნეტკომუნიკაციის საშუალებას. სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია პოსტები, ვიზუალური და ტექსტური კონტენტი, სხვადასხვა კონკურსების, მიღებების, ჩარიცხვებისა და დაწესებულებაში განხორციელებული სხვადასხვა სახის ვიზიტების შესახებ. დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია უნივერსიტეტის მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ. ატვირთულია დაწესებულების წესდება, სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმების ანგარიშები, სხვადასხვა მარეგულირებელი და იურიდიული დოკუმენტები, ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ინფორმაცია ბიბლიოთეკის შესახებ, უნივერსიტეტის სტრუქტურა და სხვა. მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით განთავსებულია სიახლეების ველი, სხვადასხვა სახის კითხვარები, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, ინფორმაცია პერსონალზე და სხვა. **შესაბამისად, დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.**

   თუმცა, დაწესებულების ვებ-გვერდზე ზოგიერთ შემთხვევაში გაძნელებულია საჭირო ინფორმაციის მოძებნა დოკუმენტების განთავსების ადგილის ან სახელწოდების უზუსტობის გამო. გამომდინარე აქედან, ექსპერტთა მხრიდან, დაწესებულებას ეძლევა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავითარებელი სახის რეკომენდაცია: უზრუნველყოს ვებგვერდზე ტექნიკური უზუსტობების აღმოფხვრა და მათი ლოგიკური დაჯგუფება დაინტერესებული მხარეებისთვის მარტივად ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის მიღების მიზნით.

2. დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს მხოლოდდამხოლოდ ქართულ ენაზე. შესაბამისად, დაწესებულების ვებ-გვერდის ქართულენოვანი ვერსია მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ.
3. დაწესებულებაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ვებ-გვერდისა და Facebook-ის ოფიციალური გვერდის ადმინისტრირებას, მათ შორის განსათავსებელი მასალების მომზადებას. ამზადებს პრეს-რელიზებს, საუნივერსიტეტო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას აწვდის დაინტერესებულ პირებს.

   საზოგადოებასთან შესაბამისი ინფორმაციის მისაწოდებლად მუდმივად იყენებს უნივერსიტეტის ვებგვერდს - www.tbeli.ge ელექტრონულ ფოსტას - tbelabuserisdze@gmail.com და ოფიციალურ Facebook გვერდს სოციალურ ქსელებში. აღნიშნულ გვერდებზე დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

   დაწესებულების აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური და ჰყავს ხელმძღვანელი. სასწავლო უნივერსიტეტს ასევე დამტკიცებული აქვს „ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება". დებულებით განსაზღვრულია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფლებამოსილებანი, ფუნქციები და ვალდებულებები. როგორიცაა, უნივერსიტეტის ინტერესების გათვალისწინებით, სხვადასხვა სახის აქტივობის დაგეგმვა, მიმდინარე/დაგეგმილი ღონისძიებების/პროექტების შესახებ საზოგადოების ინფორმირება, მედიასთან ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავება, უნივერსიტეტის სახელით ოფიციალური მიმართვებისა და განცხადებების გამოქვეყნების ორგანიზება, უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მართვა და განვითარება, პრესკონფერენციების, ბრიფინგების და ინტერვიუების ორგანიზება, პრეს-რელიზებისა და საინფორმაციო მასალების მომზადება და სხვა.

   ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება, უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.
4. წინა წარმოების ფარგლებში აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც შეუსაბამო, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. კატალოგი ასევე არ იყო განთავსებული დაწესებულების ვებ-გვერდზეც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ახლანდელი მონიტორინგისას დაწესებულების მხრიდან მოწოდებულ იქნა 2023 წლის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც ასევე განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე. პროფესიული პროგრამების კატალოგი, მოიცავს პროგრამების დასახელებას, სხვადასხვა პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციების ჩამონათვალს, პროგრამის მიზნებსა და დაშვების წინაპირობებს, ინფორმაციას პროგრამის მოცულობასა და ხანგრძლივობაზე, თითოეული პროგრამისთვის მისაღწევი სწავლის შედეგების ჩამონათვალს, პროგრამის განხორციელების ადგილს, ინფორმაციას პროგრამის ხელმძღვანელისა და პარტნიორი ორგანიზაციების /პრაქტიკის ობიექტების შესახებ. **შესაბამისად, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.**

თუმცა, გარდა გარდა აღნიშნული ინფორმაციისა, კატალოგი შეიძლება მოიცავდეს სხვა დამატებითი სახის ინფორმაციას, რისი მიწოდებაც დაწესებულებას სურს ფართო საზოგადოებისათვის. მათ შორის დაწესებულების მიერ მიწოდებული სხვა სერვისების, აქტივობების, მიღწევების შესახებ. ასევე ფოტოებს და სხვა. კატალოგი ერთგვარი ცნობარია დაწესებულებისა, მისი ისტორიისა და სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად. შესაბამისად, დაინტერესებული მხარეებისთვის დამატებითი და მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ექსპერტთა მხრიდან, დაწესებულებას ეძლევა **განმავითარებელი სახის რეკომენდაცია**: დაწესებულებამ სასურველია კატალოგში ასახოს ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც მას გახდის უფრო ინფორმაციულს და ხელს შეუწყობს დაინტერესებულ პირებს არჩევანის გაკეთებისას.

5. წინა წარმოების ფარგლებში, აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც შეუსაბამო, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. ხოლო ახლანდელი მონიტორინგისას, სასწავლო უნივერსიტეტმა წარმოადგინა 2023 წლის განახლებული კატალოგი. კატალოგთან დაკავშირებით, დაწესებულებაში პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს მის ყოველწლიურ განახლებას (ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად), რაც ასევე დადასტურდა გასაუბრებისას. გამომდინარე აქედან, ინდიკატორის პირობები დაკმაყოფილებულია.
6. დაწესებულების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად გამოიყენება სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო არხები. უნივერსიტეტის წარმომადგენელთა განმარტებით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად
   დაწესებულება დაინტერესებულ მხარეებთან/საზოგადოებასთან კომუნიკაციის, უკუკავშირის მიღებისა და გამოყენების მიზნით სარგებლობს უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული ფოსტით, რომელიც მითითებულია ოფიციალურ ვებგვერდზე. გარდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამისა, აღნიშნული უკუკავშირის მისაღებად, უნივერსიტეტს შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს Facebook სოციალური ქსელიდან, გამოკითხვებიდან მიღებული ინფორმაცია.

სასწავლო უნივერსიტეტის საკომუნიკაციო არხებიდან, როგორც ოფიციალური სოციალური ქსელიდან ისე ელექტრონული ფორმის ტიპის გამოკითხვებიდან შემოსულ ინფორმაციაზე საჭროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება, ხოლო ამ ინფორმაციის ანალიზის შედეგები გამოიყენება საქმიანობის შეფასებისა და შემდგომი განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებათა დაგეგმვისას. უკუკავშირის ანალიზის შედეგები გამოიყენება შემდგომი განვითარებისთვის, რასაც წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი საკითხთან დაკავშირებული თანამშრომლების ჩართულობით. საჭიროების შემთხვევაში, საკითხის განხილვა ხდება ხარისხის სამსახურთან ერთად. **შესაბამისად, დაწესებულება კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ვებ-გვერდი: https://tbeli.ge/ge/home
- დაწესებულების Facebook სოციალური გვერდი: https://www.facebook.com/tbeli.ge
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2019 წლის 30 იანვრის № 01-03/14 ბრძანებით დამტკიცებული ''საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება'';
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
- გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია.

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წინა წარმოების ფარგლებში, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ არ წარმოადგინა ბიუჯეტი და არ მისცა ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობა. ხოლო ახლანდელი მონიტორინგის ფარგლებში, აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი, გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.

კერძოდ: სასწავლო უნივერსიტეტის დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს საპატრიარქო, რის მტკიცებულებადაც დაწესებულებამ წარმოადგინა 2022 წლის 12 დეკემბრის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ და 2023 წლის ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისგან. ბიუჯეტი ხარჯების ნაწილი მოიცავს ინფორმაციას შრომის ანაზღაურების, საერთო, ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯების შესახებ.

დაწესებულებაში სამოქმედო გეგმის შესაბამისად დგება ყოველი წლის ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმა. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში ჩართულნი არიან დაწესებულების საფინანსო მიმართულების თანამშრომლები. სტრატეგიული გეგმის სამუშაო პროცესში ერთვება „ტბელის უნივერსიტეტის“ ფინანსური წარმომადგენელი და იმუშავებს სათანადო ფინანსურ გაანგარიშებებს. ამ პროცესში დასაშვებია „ჯგუფმა“ გარკვეული კორექტირება შეიტანოს სტრატეგიულ მიზნებში.

პროფესიული განათლების განვითარებისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო სამოქმედო გეგმები. აღნიშნულ გეგმებში დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევისთვის საჭირო აქტივობებზე, მითითებულია კონკრეტული აქტივობისთვის შესრულებისათვის საჭირო ფინანსური რესურსი. **შესაბამისად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის და**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგული/სამოქმედო გეგმების განხილვის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.

2. წინა წარმოების ფარგლებში, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ არ წარმოადგინა ბიუჯეტი, შესაბამისად ვერ დადგინდა იყო თუ არა გათვალისწინებული ბიუჯეტში თანხები საოპერაციო ხარჯებისათვის ან საოპერაციო ხარჯები იქნა თუ არა დაფარული საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

   ახლანდელი მონიტორინგის ფარგლებში, აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი, გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა ბიუჯეტი, რომლის ხარჯების ნაწილში, სხვა სახის ხარჯებთან ერთად წარმოდგენილია წლიური საოპერაციო ხარჯებისთვის გამოყოფილი თანხის რაოდენობაც. დაწესებულებაში, რექტორის 2022 წლის 12 დეკემბრის ბრძანება #01-03/28 - ით, დამტკიცებულია ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ტიპის ხარჯებს, მათ შორის საოპერაციო ხარჯებს. წარმოდგენილი ბიუჯეტის ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ **დაწესებულებაში საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.**

3. წინა წარმოების ფარგლებში, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ არ წარმოადგინა ფინანსური მდგრადობის შეფასების დოკუმენტი ან ფინანსური ანგარიში/ანალიზი.

   ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველა საჭიროება თანხმდება საპატრიარქოსთან, რომელიც სრულად აფინანსებს უნივერსიტეტს, ხოლო მონიტორინგის მიზნით, ბუღალტერია აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ანგარიშს. ახლანდელი ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულებამ ექსპერტებს წარმოუდგინა ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია - სასწავლო უნივერსიტეტის ბუღალტრიის მიერ, პროფესიული განათლების მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, რომლის თანახმადაც სასწავლო უნივერსიტეტი (მათ შორის პროფესიული განათლების საჭიროებები) ფინანსდება საქართველოს საპატრიარქოდან.

   ანგარიში მოიცავს ინფორმაციას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხის ხარჯვითი ნაწილის ანალიზის შესახებ, რაც ემყარება შესყიდვის ანგარიშ-ფაქტურების ჯამური ციფრების შემოწმებას, შესყიდვის ანგარიშ-ფაქტურებთან შედარებასა და გადაანგარიშებას. **გამომდინარე აქედან, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ინდიკატორი წინა მონიტორინგის ფარგლებში შეფასდა, შეუსაბამოდ, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ არ წარმოადგინა ფინანსური მდგრადობის შეფასების კვლევის მასალები, ან შეფასების შედეგებზე რეაგირების რაიმე მტკიცებულება.

ახლანდელი ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის ანგარიში ''პროფესიული განათლების სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ''. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკეთებს ყოველწლიურ მონიტორინგს და ანგარიშს, რომელიც მოიცავს სამოქმედო გეგმების ანგარიშს. მიღებული შედეგების ანალიზის შედეგად იგეგმება გარკვეული სამუშაოები და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები პასუხისმგებელი სტრუქტურების/პირების მიერ. ასევე, ადმინისტრაციის წარმომადგენელთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ დაწესებულება შეფასების შედეგებს ითვალისწინებს სამომავლო გეგმის შემუშავებისას. **გამომდინარე აქედან, განხილული დოკუმენტაციითა და გასაუბრების შედეგებიდან დგინდება, რომ დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უნივერსიტეტის დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს საპატრიარქო, რის მტკიცებულებადაც დაწესებულებამ წარმოადგინა 2022 წლის 12 დეკემბრის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
- 2023 წლის ბიუჯეტი, დამტკიცებული 2022 წლის 12 დეკემბრის ბრძანება #01-03/28 - ით;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- 2023 წლის ანგარიში ''პროფესიული განათლების სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ'';
- გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბუღალტრული აღრიცხვა

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება № 02-01/07 13.08.2019
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტაკიძეები (ხიჭაური)
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	60

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ბუღალტრული აღრიცხვა

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ბუღალტრული აღრიცხვა

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვის“ მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი. აღნიშნული დასაბუთების თანახმად, უნივერსიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია საქართველოს ერთ-ერთ ეკონომიკურად და პოლიტიკურად სტრატეგიულ კუთხეს - აჭარას მოუმზადოს ბუღალტრის პროფესიის სპეციალისტები, რომლებსაც ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ეცოდინება, ბიზნესის ენა“ და შეძლებს დაინტერესებულ მხარეებს დროული ინფორმაცია მიაწოდოს ეკონომუკური და ფინანსური საქმიანობის წარმართვაში, რაც თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან. უნივერსიტეტს მისიაში გაცხადებული აქვს, რომ ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერებას, რისთვისაც სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამებს, ქმნის საგანმანათლებლო გარემოს და უზრუნველყოფს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას.

   უნივერსიტეტს შემუშვებული აქვს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სტრატეგიული გეგმა, რის საფუძველზეც დგინდება, რომ დაწესებულების ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია ,,პროფესიული მოდულური პროგრამების პერსპექტივების კვლევა და ახალი პროგრამების დამატება“.

   ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის დაგეგმვის პროცესში ჩართული იყვნენ რაიონის მუნიციპალიტეტის და მოქმედი ბიზნესის წარმომადგენლები. ასევე ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს რომ დიდი იყო ინტერესი ამ პროგრამასთან დაკავშირებით, იყო მომართვიანობა, რამაც ასევე ხელი შეუწყო ამ პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

   საერთო ჯამში, ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია და პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა, შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით მოთხოვნილ წინაპირობასთან. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რითიც ის უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიულ პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და დაწესებულების ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის“ შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის 2.1.1.2 მოთხოვნა შესაბამისობაშია და **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას,**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. უნივერსიტეტში რექტორის 2019 წლის 28 იანვრის N01–03/08 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის წესი“. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეესაბამება აღნიშნული მეთოდოლოგიის მოთხოვნებს, რომლის მიხედვით დაწესებულების კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში იღებს პროგრამის განხორციელების მიდგომებსა და სპეციფიკას, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით, A და B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას, პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციების შესაძლებლობები და სხვ. პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთების მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენს - 60-ს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ორ ცვლაში (ერთ ცვლაში 30 პროფესიული სტუდენტი). **შესაბამისად, დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია და პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**
4. ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე დაადგინეს, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელებისთვის დაწესებულების მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო რესურსის ჩამონათვალი. მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, რელევანტურია და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების შესაბამისობის კვლევას. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართული არიან რესურსების შეფასებისა და საჭიროების განსაზღვრის პროცესში. სტუდენტები აღნიშნული რესურსების შესაბამისობას აფასებენ დადებითად.

   პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. საგანმანათლებლო რესურსი ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ნაბეჭდი და ელექტრონული სახით, დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან. **შესაბამისად ინდიკატორი 2.1.14**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისობასია და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ არ მოიცავს არჩევით მოდულს.
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა“, დამტკიცებულია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 13 აგვისტოს № 02-01/07 გადაწყვეტილებით. პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია სასწავლო უნივერსიტეტის დებულებით, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების რექტორის 2019 წლის 25 დეკემბრის N01–03/41 ბრძანების მუხლი 6, პუნქტი 6.2. მიხედვით. **შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**
7. ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის სახელწოდება ,,ბუღალტრული აღრიცხვა,“ **შეესაბამება პროგრამის შინაარსს, წინასწარ დაგეგმილ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, შესაბამისად ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია;**
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია “ბუღალტრული აღრიცხვის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, სადაც განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები.სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება და პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები.

   პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, რომლებიც სათანადოდ არის ადაპტირებული პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით, რაც დადასტურდა დოკუმენტების გადამოწმებით. ასევე ახლავს ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს.

   მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით. პროგრამა ითვალისწინებს მოდულის - ქართული ენა A2 და B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია და პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების მისია http://www.tbeli.ge/;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2025 წ.წ.;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ და მოდულები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი“;
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 28 იანვრის N01–03/08 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის წესი“. ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან;
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება, დამტკიცებული რექტორის 2019 წლის 25 დეკემბრის N01–03/41 ბრძანებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტაკიძეების (ხიჭაური) ლოკაციაზე. დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტებმა დაათვალიერეს პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. დაწესებულება გეგმავს 60 პროფესიული სტუდენტის მიღებას (ორ ცვლაში). პროგრამისთვის გამოყოფილია ორი A/B და ერთი B გარემო. B გარემოს აუდიტორია ემსახურება ზოგადი მოდულების სწავლებას, ხოლო A/B გარემო განსაზღვრულია პროგრამის პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის. აღნიშნული აუდიტორიები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით - პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდებით, სკამებით, დაფითა და საჭირო ტექნიკური მოწყობილობებით - ფლეშ-მეხსიერებებით, პრინტერებით, პროექტორებით და შესაბამისი მახასიათებლების მქონე პერსონალური კომპიუტერებით, სადაც ჩატვირთულია (ORIS) პროგრამა. პროგრამა არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის მოდულს და სწავლება სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტაციის ანალიზის, გასაუბრების და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, შესაბამისად, ინდიკატორის 2.2.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“, განხორციელების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 19 მასწავლებელი, აქედან 7 განახორციელებს ზოგად, ხოლო 12 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას მოდულებზე ჰყავს ორი განმახორციელებელი პერსონალი. **ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ინდიკატორის 2.2.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი. დაწესებულებას სტარტეგიული განვითარების გეგმაში და სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირების განვითარების მიზნით, რომელსაც ახორციელებენ გარკვეული პერიოდულობით“. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა აღნიშნა და პროგრამის განმახორციელებელმა პირებმაც დაადასტურეს ინტერვიურებისას, რომ პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების მასწავლებლებს უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩაუტარდათ სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ შიდა ტრენინგები.

დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია და ინდიკატორის 2.2.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის კვალიფიციური და აქვს პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილება დაწესებულებაში არსებული მსგავსი პროგრამის ფარგლებში. მას მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაში, პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში, ასევე აქვს დარგში მუშობის პრაქტიკული გამოცდილება, ეწევა აგრეთვე სამეცნიერო საქმიანობას შესაბამის დარგში. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების განხორციელების ინიცირებაზე, იგი ჩართულია ვერიფიკაციის პროცესებშიც. **ინდიკატორის 2.2.1.4 მოთხოვნა ექსპერტთა შეფასებით დაკმაყოფილებულია და საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე.

საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემთხვევაში, სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში შემოწმებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იყენებენ სასწავლო რესურსებს, რის დასტურადაც ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკიდან სასწავლო რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი შევსებული ჟურნალი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. დაწესებულების ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ შესაბამის მუხლებში გაწერილია პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის ღონისძიებები - ინდივიდუალური მუშაობა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. დაწესებულებას აქვს შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული გარემო, მათ შორის, სველი წერტილები და პანდუსები. სასწავლო რესურსი საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებისა და მოთხოვნილებების მიხედვით. უნივერსიტეტს არ ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, თუმცა, ადმინისტრაციის განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირების მხარდასაჭერად დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, ასისტენტის ან სხვა მხარდამჭერი პირების აყვანას, რომელთა დახმარებით შედგება ინდივიდუალური გეგმები და ადაპტირდება სასწავლო რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია სასწავლო გარემოსთან წვდომის ადაპტირებისთვის შემდგომში გაითვალისწინონ თანამედროვე და უფრო კომფორტული მექანიზმების გამოყენება.

ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით ინდიკატორის 2.2.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ ბიუჯეტის მაჩვენებლებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით ფინანსურად მდგრადია, ვინაიდან, პროგრამის ადმინისტრირება ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს საპატრიარქოს მიერ გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში, ამასთანავე დაწესებულება აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის მიიღებს ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული პროფესიული სტუდენტის სწავლის საფასურს. პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ამ ეტაპისთვის არის დაწესებულების ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებში შეყვანილია პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, სასწავლო მასალების ღირებულება, არსებობის შემთხვევაში - პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯები. პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისი თანაფარდობით ითვალისწინებს ადმინისტრირების (ხელფასებს, კომუნალურ, საკომუნიკაციო და სხვა) საოპერაციო ხარჯებს, პროგრამის ბიუჯეტირებისას პროგრამის რენტაბელობის ზღვარი არ არის განსაზღვრული, თუმცა გამოყოფილი ფინანსების ოდენობა სრულიად საკმარისია 60 პროფესიული სტუდენტის მოსამზადებლად.

განმავითარებელი რეკომენდაციის სახით დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ ბიუჯეტი შედგეს თითოეული განსახორციელებელი პროგრამისთვის ცალცალკე და განისაზღვროს როგორც რენტაბელობის ზღვარი, ასევე მასში გაითვალისწინონ მთიანი რეგიონისთვის დამახასიათებელი ფორსმაჟორული არახელსაყრელი ვითარების ფინანსური გადაზღვევა, რომლითაც დამატებითი სახსრების გაწევა შეიძლება დასჭირდეს დაწესებულებას (მაგ. დიდთოვლობის, ზვავიანობის, სხვა მეტეოროლოგიური პირობების გამო გამოწვეული ხარჯები). მიუხედავად აღნიშნულისა, ბიუჯეტის ანალიზით ირკვევა რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი სრულად უზრუნველყოფს პროგრამის რენტაბელურობას და ფინანსურ მდგრადობას და ინდიკატორის 2.2.1.7 მოთხოვნები სრულადაა დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა“;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
- მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- ბიბლიოთეკართან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ,,მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა“ (დამტკიცებული დაწესებულების რექტორის 2019 წლის 7 მაისის № 01-03/27 ბრძანებით), სადაც გაწერილია შიდა და გარე შეფასების მექნიზმები, კერძოდ, შემუშავებული დოკუმენტის თანახმად, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებისათვის უნივერსიტეტში გამოიყენება შემდეგი მექანიზმები:უნივერსიტეტში მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფორმისა და კრიტერიუმების შემუშავება და მათ შესაბამისად ყოველწლიურად შიდა შეფასების განხორციელება; პროფესიული მასწავლებლის მიერ წარმართულ ლექციებსა და სამუშაო ჯგუფებში/პრაქტიკულ მეცადინეობებზე ურთიერთდასწრება; პროფესიული მასწავლებლის/მოწვეული მასწავლებლის ყოველწლიური ანგარიშების მომზადება და მონიტორინგი.

   დაწესებულებას ასევე ბრძანება: N01-03/08. 28.06.2021 წ.დამტკიცებული აქვს „ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხორციელდება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესის, ადამიანური და მატერიალური რესურსების, დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების გზით და ეფუძნება დემინგის ციკლის მოდელს, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს პროგრამების განვითარების მიზნებისათვის სტუდენტების პროგრამის ხელმძღვანელების, მასწავლებლების, კურდამთავრებულების, პარტნიორი კომპანიების გამოკითხვას შესაბამისი კითხვარების გამოყენებით. დაწესებულებამ წარმოადგინა კითხვარების ფორმები. ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა 2019 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების ანალიზი, უნივერსიტეტი ზრუნავს სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე, აწყობს სემინარებს და ტრენინგებს. სტუდენტებმა და პროფესიულმა მასწავლებლება დაადასტურეს აღნიშნული მექანიზმის გამოყენება.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.3.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან.

2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კერძოდ: სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 25 ივლისი № 01-03/18 ბრძანებით დამტკიცებულია „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და მასში ცვლილებების შეტანის თანდართული წესი“, რომლის თანახმად, საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭო ცვლილების ინიცირებით მიმართავს აკადემიურ საბჭოს, რომელიც იღებს ცვლილების შეტანის ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელ პირ(ებ)ს.პროგრამაში/მოდულში ცვლილების შეტანის შემთხვევაში აღნიშნული ცვლილება მტკიცდება რექტორის ბრძანებით. პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს: ა) პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის გათვალისწინებით; ბ) უფლებამოსილი პირის ინიცირებით დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში; გ) სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით; დ) პარტნიორი კომპანიის მოთხოვნით, იმ შემთხვევაში თუ ცვლილების არსი არ ეწინააღმდეგება მოქმედ სტანდარტს; ე) ცენტრის მიერ განხორციელებული ცვლილებების და/ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

ცვლილების შემთხვევაში კორექტირებული მასალა მტკიცდება რექტორის ბრძანებით. პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესახებ, ინფორმაციის გავრცელებას ახდენს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. ხარისხის უზრუნველყოფაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პასუხისმგებელი პირი, ასევე პასუხისმგებელია პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ საჭიროებისამებრ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირებაზე და პროგრამაში ცვლილებების განხორციელების მიზნით, ინიცირებით მიმართვაზე გამომდინარე აქიდან, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულია.

ინდიკატორის 2.3.1.2 მოთხოვნები ექსპერტთა მოსაზრებით დაკმაყოფილებულია და პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა";
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი";
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები";
- კითხვარები და კვლევის შედეგები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობებისა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის სრული დაცვით, რასაც ადასტურებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვები, რეესტრში ასახული მონაცემები, სასწავლო ცხრილები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები. **ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით, ინდიკატორის 2.4.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამა დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.**
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან. **ინდიკატორის 2.4.1.2 მოთხოვნები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაკმაყოფილებულია და პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს. პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ინტერვიუებზე დადგინდა, რომ განმახორციელებლებს აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, წვდომისა და ინფორმაციის მოპოვების უნარები. პროგრამას აქვს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, რომელიც მორგებულია სტუდენტებისათვის, სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები /თანამედროვე ტექნოლოგიები. **ინდიკატორის 2.4.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**
4. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, უნივერსიტეტი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ გაწერილი პროცედურების შესაბამისად. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გასაუბრებისას აღინიშნა, რომ დაწესებულებას აქვს საჭიროების შემთხვევაში მზაობა, პროფესიულ სტუდენტს შეუმუშავოს ინდივიდუალური გეგმები, თუმცა, ჯერ ამის საჭიროება არ დადგომიათ. მათ ხაზი გაუსვეს იმ ფაქტორს, რომ **დაწესებულება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას ყოველთვის ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებს. ინდიკატორის 2.4.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
5. „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ხორციელდება დაწესებლების ბაზაზე.
6. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება არ საჭიროებს განსაკუთრებულ/სპეციფიკური უსაფრთოხების პირობების შექმნას/დაცვას. **ინდიკატორის 2.4.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- სასწავლო ცხრილები;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვები;
- ინდივიდუალური გეგმები;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეფასება ხორციელდება კანონდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, რომელიც მოცემულია ,,პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაში“. მასში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა, შეფასების პრინციპები, პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის წესი, კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება, ვალიდაცია, შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია, შეფასების შესახებ პროფესიული სტუდენტების ინფორმირება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება, მტკიცებულებების მოპოვების, შენახვის და განკარგვის წესი. წესს ახლავს დანართი, რომელშიც მოცემულია შეფასებების ფორმები, ჩექლისტები, კითხვარები.
   შეფასების სისტემა განმსაზღვრელი შეფასების გარდა ითვალისწინებს განმავითარებელ შეფასებასაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის მოდულური პროგრამის მიმდინარეობის პროცესში. განმეორებითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტის შეფასება ხდება პირველადისაგან შეცვლილი შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასებისას, სტუდენტის გამოუცხადებლობის ან შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, თუ დაუდასტურებელი მოდულის დაძლევა შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობაა, სტუდენტს ეძლევა დამატებით ორჯერ შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის დადასტურების/შეფასების შედეგის არასამართლიანად ჩათვლის შემთხვევაში გამოიყენოს აპელაციის უფლება.

აღნიშნული წესის გაცნობა პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა ინტერვიუსას აღნიშნა, რომ სწავლის დასაწყისში ხდება პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება აღნიშნული წესის შესახებ. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, **დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.4.2.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და უნივერსიტეტში პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.**

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. კერძოდ: შეფასების სისტემის გამართული მუშაობისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მექანიზმები. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 25 მარტის #01-03/03ა ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული განათლების ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“ რომლის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად მოცემული ვითარების შესწავლა, მონაცემების შეგროვება, ანალიზი, საჭიროებების განსაზღვრა, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და ჩარევების განხორციელება. რეგულაციით გაწერილია შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა, ჯგუფის და ჯგუფის ხელმძღვანელის ფუნქციები, ვერიფიკაციის ეტაპები და სხვა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში (საშემოდგომო მიღება) ადგენს ვერიფიკაციის გეგმას შერჩევის მექანიზმის (რისკების სისტემა) შესაბამისად. ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფი (შემდგომში „ჯგუფი“) ვალდებულია ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად უზრუნველყოფს თავისი ფუნქციების შესრულებას; უნივერსიტეტი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით:

შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;

პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია, რაც მოიცავს ინფორმაციას ვერიფიკაციის ჯგუფის შესახებ, ვერიფიკაციის გეგმას, რისკების შეფასებას, ვერიფიკაციის დასკვნას და რეკომენდაციებს. **ინდიკატორის 2.4.2.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, რადგან დაწესებულების მიერ გამოყენებული პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. უნივერსიტეტი შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას უზრუნველყოფს შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები კი ინახება მუდმივად. **ინდიკატორის 2.4.2.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. პროფესიული ცენტრის ხელმძღვანელი პერმანენტულად აანალიზებს შეფასების შედეგებს და პერიოდულად ანგარიშს წარუდგენს რექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. პროგრამაზე ჩარუცხულ პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებითაც დადასტურდა, რომ დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და მიღწევების შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება შესაბამისი რეაგირება (დამატებითი მეცადინეობები, განმავითარებელი შეფასებები, კონსულტაციები და სხვ.), რაც მიმართულია მათი შემდგომი განვითარებისთვის. **შესაბამისად, ინდიკატორის 2.4.2.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება

(მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა“;
- ,, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა“;
- ვერიფიკაციის წესი;
- ვერიფიკაციის მტკიცებულებები;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საექთნო საქმე

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/Higher Vocational Qualification in Nursing
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება№ № 02-01/05 (05.08.2022)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტაკიძეები (ხიჭაური)
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	60

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

საექთნო საქმე

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინფორმაციის ტექნოლოგია

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმის“ მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი. აღნიშნული დასაბუთების თანახმად, უნივერსიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია საქართველოს ერთ-ერთ ეკონომიკურად და პოლიტიკურად სტრატეგიულ კუთხეს - აჭარას მოუმზადოს ექთნები, რომლებზეც განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნაა რეგიონში.

- ზემო აჭარის მუნიციპალიტეტების შრომის ბაზრის ხვედრითი წილი კლინიკური სექტორის დიდ პროცენტს მოიცავს;
- შრომის ბაზრისგან არის მაღალი ინტერესი მათთვის ექთნის კვალიფიციური კადრის მიწოდების თაობაზე - რაზეც მეტყველებს ფორმალურ თუ არაფორმალურ რეჟიმში ურთიერთობა, შრომის ბაზრის რეგიონალური წარმომადგენლებისგან უნივერსიტეტის შესაბამისი პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულთა თუ პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი;
- უნივერსიტეტის მიერ მიმდინარე პერიოდში „საექთნო საქმის“ პროგრამის მოქმედი პროფესიული სტუდენტების დიდი ნაწილი უკვე არიან პროფილურ შრომის ბაზარზე დასაქმებულები;
- უნივერსიტეტის „საექთნო საქმის“ პროგრამის პარტნიორობის წინადადებას კლინიკური პროფილის კომპანიები აქტიურად ეხმიანებიან მათი საბაზრო მოთხოვნილებებიდან გამომდინარე.

შრომის ბაზრის კვლევების ანალიზითა და პარტნიორ კომპანიებთან კომუნაკაციით დაწესებულებამ დაადასტურა შრომის ბაზარზე პროგრამის მოთხოვნადობა. ასევე, მაღალია მოთხოვნა აპლიკანტთა მხრიდანაც, რაც დასტურდება აპლიკანტთა ოდენობის მზარდი სტატისტიკური მონაცემებით. დაწესებულებას აქვს პროგრამის განხორციელების გამოცდილება, ჰყავს ძლიერი პარტნიორები - „შპს ქ. ბათუმის სამედიცინო ცენტრი“ (ხელშ.5.09.2023წ.),; სს „ევექსის ჰოსპიტლები“(5.09.2019წ. ხელშ.), სახით.

დაწესებულების მისიაა მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სამედიცინო მიმართულების კვალიფიციური კადრების მომზადება, მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების და მასზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ბიზნესსა და საგანმანათლებლო სფეროს შორის ურთიერთეფექტური თანამშრომლობის დამყარების ხელშეწყობა. სტრატეგიული განვითარების გეგმაც გამომდინარეობს მისიიდან. საგანმანათლებლო პროგრამა ,,საექთნო საქმე“ არის ჯანდაცვის მიმართულების პროგრამა და ის შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნივერსიტეტს შემუშვებული აქვს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სტრატეგიული გეგმა, რის საფუძველზეც დგინდება, რომ დაწესებულების ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია ,,პროფესიული მოდულური პროგრამების პერსპექტივების კვლევა და ახალი პროგრამების დამატება“.

ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის დაგეგმვის პროცესში ჩართული იყვნენ რაიონის მუნიციპალიტეტის და მოქმედი ბიზნესის წარმომადგენლები. ასევე ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს რომ დიდი იყო ინტერესი ამ პროგრამასთან დაკავშირებით, იყო მომართვიანობა, რამაც ასევე ხელი შეუწყო ამ პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

საერთო ჯამში, ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია და პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საექთნო საქმე“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა, შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით მოთხოვნილ წინაპირობასთან. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რითიც ის უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიულ პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და დაწესებულების ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის“ შესაბამისად. ექსპერტების მიერ შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ,,საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ბრძანება და პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, რითაც დადასტურდა, რომ პროგრამაზე ჩარიცხულნი არიან პირები პროგრამაზე დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით, ჩარიცხვის პროცედურის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის 2.1.1.2 მოთხოვნა შესაბამისობაშია და **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

3. უნივერსიტეტში რექტორის 2019 წლის 28 იანვრის N01–03/08 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის წესი“. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული მეთოდოლოგიის მოთხოვნებს, რომლის მიხედვით დაწესებულების კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში იღებს პროგრამის განხორციელების მიდგომებსა და სპეციფიკას, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით, A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას, პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციების შესაძლებლობები და სხვ. პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთების მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენს - 60-ს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ორ ცვლაში (ერთ ცვლაში 30 პროფესიული სტუდენტი). **შესაბამისად, დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია და პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

4. ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე დაადგინეს, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,საექთნო საქმე“ განხორციელებისთვის დაწესებულების მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო რესურსის ჩამონათვალი. მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, რელევანტურია და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების შესაბამისობის კვლევას. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართული არიან რესურსების შეფასებისა და საჭიროების განსაზღვრის პროცესში. სტუდენტები აღნიშნული რესურსების შესაბამისობას აფასებენ დადებითად.

   პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. საგანმანათლებლო რესურსი ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ნაბეჭდი და ელექტრონული სახით, დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან. **შესაბამისად ინდიკატორი 2.1.14 შესაბამისობასია და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ,,საექთნო საქმე“ არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საექთნო საქმე“, დამტკიცებულია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 5 აგვისტოს № 02-01/05 გადაწყვეტილებით. პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია სასწავლო უნივერსიტეტის დებულებით, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების რექტორის 2019 წლის 25 დეკემბრის N01–03/41 ბრძანების მუხლი 6, პუნქტი 6.2. მიხედვით. **შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**
7. ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის სახელწოდება ,,საექთნო საქმე,“ **შეესაბამება პროგრამის შინაარსს, წინასწარ დაგეგმილ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, შესაბამისად ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია;**
8. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება „საექთნო საქმე“ თანხვედრაშია საექთნო განათლება / Nursing ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დასახელებასა და კვალიფიკაციასთან უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი. საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები.სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება და პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები.

   პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, რომლებიც სათანადოდ არის ადაპტირებული პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით, რაც დადასტურდა დოკუმენტების გადამოწმებით. ასევე ახლავს ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს.

   მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამა ითვალისწინებს მოდულის - ქართული ენა A2 და B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია და პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების მისია http://www.tbeli.ge/;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2025 წ.წ.;
- დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 05 აგვიატოს №2-1/05 ბრძანება „უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საექთნო საქმე“ და მოდულები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი“;
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 28 იანვრის N01–03/08 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის წესი“. ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან;
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება, დამტკიცებული რექტორის 2019 წლის 25 დეკემბრის N01–03/41 ბრძანებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი;
- დაწესებულების პარტნიორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები: „შპს ქ. ბათუმის სამედიცინო ცენტრი“ (ხელშ.5.09.2023წ.),; სს „ევექსის ჰოსპიტლები“(5.09.2019წ. ხელშ.);
- ინტერვიუს შედეგებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

7. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
8. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
9. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
10. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
11. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
12. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტების მიერ დოკუმენტაციის გაცნობის, მატერიალური რესურსის დათვალიერების და შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასაც: „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი, რომლის არსებობაც დასტურდება ადგილზე დათვალიერებით და შესყიდვის დოკუმენტაციით. პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებისთვის დაწესებულებაში გამოყოფილია ოთხი A, ერთი AC და ორი B გარემო, სადაც განთავსებულია პროფესიული სტუდენტის 20 სამუშაო ადგილი, პროგრამის განმახორციელებელი პირის სამუშაო ადგილი. ამავე აუდიტორიაში განთავსებულია პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი რესურსი. უნივერსიტეტში განთავსებულია სამედიცინო პუნქტიც. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული ნაწილის სწავლება, ძირითადად პრაქტიკის ობიექტებზე იგეგმება. პრაქტიკული სწავლების მოდულების, ასევე კლინიკური სწავლების მოდულების განხორციელება იგეგმება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებშია :-სს ,,ევექსსის ჰოსპიტლები,, „შპს ქ. ბათუმის სამედიცინო ცენტრში; რომლებსაც თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულების ჩამონათვალი და ამ მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა. ხელშეკრულების თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული კლინიკები ადასტურებენ მოდულის შესაბამისი აქტივობების განხორციელების საშუალებას შესაბამის განყოფილებებში, ყველა კლინიკამ წარმოადგინა მარეგულირების მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მათ უფლებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე. ამ მოდულების გავლისთვის საჭირო ინვეტარი, აღჭურვილობას კლინიკა უზრუნველყოფს.

„შპს ქ. ბათუმის სამედიცინო ცენტრთან“ (ხელშ.05.09.2019წ.) ხელშეკრულება გაფორმებულია 60 სტუდენტზე და გაივლიან შემდეგ მოდულებს:

- „კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;“
- „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმთელობა და ფსიქიატრია;“
- ‘’ფსიქიკური ჯამთელობა და ფსიქიატრია;’’
- ‘’გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები.’’

სს ‘’ევექსის ჰოსპიტლები’’ (ხელშ.05.09.2019წ.) ხელშეკრულება გაფორმებულია 60 სტუდენტზე და გაივლიან შემდეგ მოდულებს:

- კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექრთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო;
- კლინიკური პრაქტიკა -ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა-თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა--თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა-კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა- პედიატრიული და მოზარდები;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-პედიატრიული და მოზარდები;
- კლინიკური პრაქტიკა- სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა.

უნივერსიტეტში განხორციელდება შემდეგი მოდულები:

- ავადმყოფის მოვლა;
- შენმოვლა.

დაწესებულებაში მოწყობილი არის AC გარემო, სადაც განთავსებულია პრაქტიკული მოდულების შინმოვლის და ავად მოვლის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ინვენტარი: ფუნქციური საწოლით, მანეკენი, მენჯის მულაჟი (ქალისა და კაცის გენიტალიები, შარდსადენი, ნაწლავის სტომის სიმულაციის შესაძლებლობა), ШМ პირის ეტლი, ქირურგიული ინსტრუმენტებით და სხვა შესაბამისი აღჭურვილობა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულება გაფორმებული აქვთ კლინიკა რუსთავი და ჯეო ჰოსპიტალთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებელ პირებთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურებისა და საკმარისი რესურსებით, დაცულია პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებაში ჩართულ პირთა და პროფესიულ სტუდენტთა თანაფარდობა 1/7.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პრაქტიკის ობიეტების წარმომადგენლებთან, სადაც ხორციელდება პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტი. პრაქტიკის ობიექტზე განხორციელდა შეხვედრა პროფესიულ სტუდენტებთან და ასევე პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან, საუბრისას გაირკვა რომ პრაქტიკის ობიექტზე მყოფი პერსონალი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა დასწრების ყოველდღიურ აღრიცხვას, აწარმოებენ ე.წ „დანიშნულების ფურცელს“, პრაქტიკის დღიურს და პრაქტიკული დავალების შესრულების შეფასების ფურცელს. აღსანიშნავია, რომ სწავლების დამამთავრებელი ციკლის პროფესიული სტუდენტების უმრავლესობა დასაქმებულია პრაქტიკის ობიექტებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ განხორციელებაში ჩართულია 24 პროფესიული განათლები მასწავლებელი, მათი უმეტესობა სხვადასხვა პროფილის მოქმედი ექიმია, ხოლო 9 მოქმედი ექთანი და თეორიულ მოდულებს განახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას მოდულებზე ჰყავს ორი განმახორციელებელი პერსონალი. **ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ინდიკატორის 2.2.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
3. დაწესებულების წესდებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებლისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის მიხედვით პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების კვალიფიკაციის მფლობელი, ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი იქნა პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები/სერტიფიკატები ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები, რომელთა საფუძველზეც დასტურდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა აღნიშნეს დაწესებულების ხელმძღვანელობის მზაობა მათ პროფესიულ განვითარებასთან მიმართებაში. მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან პროგრამის ხელმძღვანელებთან და ასევე ყველას გავლილი აქვს ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით. **დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია და ინდიკატორის 2.2.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები არიან კვალიფიციური ექთანი და ექიმი, მათ აქვთ პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილება დაწესებულებაში არსებული მსგავსი პროგრამის ფარგლებში, მონაწილეობა აქვთ მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაში, პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში, ასევე აქვს დარგში მუშობის პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების განხორციელების ინიცირებაზე, იგი ჩართულია ვერიფიკაციის პროცესებშიც. **ინდიკატორის 2.2.1.4 მოთხოვნა ექსპერტთა შეფასებით დაკმაყოფილებულია და საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე.

   საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში, სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში შემოწმებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იყენებენ სასწავლო რესურსებს, რის დასტურადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკიდან სასწავლო რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი შევსებული ჟურნალი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. დაწესებულების ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ შესაბამის მუხლებში გაწერილია პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის ღონისძიებები - ინდივიდუალური მუშაობა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. დაწესებულებას აქვს შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული გარემო, მათ შორის, სველი წერტილები და პანდუსები. სასწავლო რესურსი საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებისა და მოთხოვნილებების მიხედვით. უნივერსიტეტს არ ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, თუმცა, ადმინისტრაციის განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირების მხარდასაჭერად დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, ასისტენტის ან სხვა მხარდამჭერი პირების აყვანას, რომელთა დახმარებით შედგება ინდივიდუალური გეგმები და ადაპტირდება სასწავლო რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია სასწავლო გარემოსთან წვდომის ადაპტირებისთვის შემდგომში გაითვალისწინონ თანამედროვე და უფრო კომფორტული მექანიზმების გამოყენება.

ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით ინდიკატორის 2.2.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. საგანმანათლებლო პროგრამა ,,საექთნო საქმე“ ბიუჯეტის მაჩვენებლებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით ფინანსურად მდგრადია, ვინაიდან, პროგრამის ადმინისტრირება ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს საპატრიარქოს მიერ გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში, ამასთანავე დაწესებულება აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის მიიღებს ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული პროფესიული სტუდენტის სწავლის საფასურს. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ამ ეტაპისთვის არის დაწესებულების ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებში შეყვანილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, სასწავლო მასალების ღირებულება, არსებობის შემთხვევაში - პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯები. პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისი თანაფარდობით ითვალისწინებს ადმინისტრირების (ხელფასებს, კომუნალურ, საკომუნიკაციო და სხვა) საოპერაციო ხარჯებს, პროგრამის ბიუჯეტირებისას პროგრამის რენტაბელობის ზღვარი არ არის განსაზღვრული, თუმცა გამოყოფილი ფინანსების ოდენობა სრულიად საკმარისია 60 პროფესიული სტუდენტის მოსამზადებლად.

განმავითარებელი რეკომენდაციის სახით დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ ბიუჯეტი შედგეს თითოეული განსახორციელებელი პროგრამისთვის ცალცალკე და განისაზღვროს როგორც რენტაბელობის ზღვარი, ასევე მასში გაითვალისწინონ მთიანი რეგიონისთვის დამახასიათებელი ფორსმაჟორული არახელსაყრელი ვითარების ფინანსური გადაზღვევა, რომლითაც დამატებითი სახსრების გაწევა შეიძლება დასჭირდეს დაწესებულებას (მაგ. დიდთოვლობის, ზვავიანობის, სხვა მეტეოროლოგიური პირობების გამო გამოწვეული ხარჯები). მიუხედავად აღნიშნულისა, ბიუჯეტის ანალიზით ირკვევა რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი სრულად უზრუნველყოფს პროგრამის რენტაბელურობას და ფინანსურ მდგრადობას და ინდიკატორის 2.2.1.7 მოთხოვნები სრულადაა დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საექთნო საქმე“;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
- მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- ბიბლიოთეკართან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ,,მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა“ (დამტკიცებული დაწესებულების რექტორის 2019 წლის 7 მაისის № 01-03/27 ბრძანებით), სადაც გაწერილია შიდა და გარე შეფასების მექნიზმები, კერძოდ, შემუშავებული დოკუმენტის თანახმად, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებისათვის უნივერსიტეტში გამოიყენება შემდეგი მექანიზმები:უნივერსიტეტში მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფორმისა და კრიტერიუმების შემუშავება და მათ შესაბამისად ყოველწლიურად შიდა შეფასების განხორციელება; პროფესიული მასწავლებლის მიერ წარმართულ ლექციებსა და სამუშაო ჯგუფებში/პრაქტიკულ მეცადინეობებზე ურთიერთდასწრება; პროფესიული მასწავლებლის/მოწვეული მასწავლებლის ყოველწლიური ანგარიშების მომზადება და მონიტორინგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას ასევე ბრძანება: N01-03/08. 28.06.2021 წ.დამტკიცებული აქვს „ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხორციელდება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, ადამიანური და მატერიალური რესურსების, დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების გზით და ეფუძნება დემინგის ციკლის მოდელს, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს პროგრამების განვითარების მიზნებისათვის სტუდენტების პროგრამის ხელმძღვანელების, მასწავლებლების, კურდამთავრებულების, პარტნიორი კომპანიების გამოკითხვას შესაბამისი კითხვარების გამოყენებით. დაწესებულებამ წარმოადგინა კითხვარების ფორმები. ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა 2019 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების ანალიზი, უნივერსიტეტი ზრუნავს სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე, აწყობს სემინარებს და ტრენინგებს. სტუდენტებმა და პროფესიულმა მასწავლებლება დაადასტურეს აღნიშნული მექანიზმის გამოყენება.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.3.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან.

2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კერძოდ: სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 25 ივლისი № 01-03/18 ბრძანებით დამტკიცებულია „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და მასში ცვლილებების შეტანის თანდართული წესი“, რომლის თანახმად, საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭო ცვლილების ინიცირებით მიმართავს აკადემიურ საბჭოს, რომელიც იღებს ცვლილების შეტანის ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელ პირ(ებ)ს.პროგრამაში/მოდულში ცვლილების შეტანის შემთხვევაში აღნიშნული ცვლილება მტკიცდება რექტორის ბრძანებით. პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს: ა) პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის გათვალისწინებით; ბ) უფლებამოსილი პირის ინიცირებით დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში; გ) სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით; დ) პარტნიორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპანიის მოთხოვნით, იმ შემთხვევაში თუ ცვლილების არსი არ ეწინააღმდეგება მოქმედ სტანდარტს; ე) ცენტრის მიერ განხორციელებული ცვლილებების და/ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

ცვლილების შემთხვევაში კორექტირებული მასალა მტკიცდება რექტორის ბრძანებით. პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესახებ, ინფორმაციის გავრცელებას ახდენს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე პასუხისმგებელია პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ საჭიროებისამებრ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირებაზე და პროგრამაში ცვლილებების განხორციელების მიზნით, ინიცირებით მიმართვაზე გამომდინარე აქიდან, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულია.

ინდიკატორის 2.3.1.2 მოთხოვნები ექსპერტთა მოსაზრებით დაკმაყოფილებულია და პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საექთნო საქმე“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი“;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- კითხვარები და კვლევის შედეგები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“ ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობებისა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის სრული დაცვით, რასაც ადასტურებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვები, რეესტრში ასახული მონაცემები, სასწავლო ცხრილები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები. პროგრამის კლინიკური კომპონენტის განხორციელებას კოორდინაციას უწევს პროფესიული ცენტრის ხელმძღვანელი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, რომლებიც დაწესებულებისგან პროფესიული სტუდენტების შესახებ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სტუდენტებს ანაწილებენ პარტნიორ კლინიკებში მათი რაოდენობის, პროგრამის, მოდულის და მოდულით განსაზღვრული საათების შესაბამისად. მეცადინეობათა ცხრილი განთავსებულია დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ან ეცნობება დაინტერესებულ პირებს დაწესებულებაში მოქმედი საკომუნიკაციო არხების მეშვეობით.

   ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით, ინდიკატორის 2.4.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამა დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან. **ინდიკატორის 2.4.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

3. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს. პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ინტერვიუებზე დადგინდა, რომ განმახორციელებლებს აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, წვდომისა და ინფორმაციის მოპოვების უნარები. პროგრამას აქვს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, რომელიც მორგებულია სტუდენტებისათვის, სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები /თანამედროვე ტექნოლოგიები. **ინდიკატორის 2.4.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**
4. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, უნივერსიტეტი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ გაწერილი პროცედურების შესაბამისად. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გასაუბრებისას აღინიშნა, რომ დაწესებულებას აქვს საჭიროების შემთხვევაში მზაობა, პროფესიულ სტუდენტს შეუმუშავოს ინდივიდუალური გეგმები, თუმცა, ჯერ ამის საჭიროება არ დადგომიათ. მათ ხაზი გაუსვეს იმ ფაქტორს, რომ **დაწესებულება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას ყოველთვის ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებს. ინდიკატორის 2.4.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
5. „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე და პარტნიორ ორგანიზაციებში. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება კლინიკებთან - „შპს ქ. ბათუმის სამედიცინო ცენტრი“ (ხელშ.5,09,2019წ.); სს „ევექსის ჰოსპიტლები“(ხელშ.5,09,2019წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეკრულებებით დარეგულირებულია: მომსახურების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები და ვალდებულებები. ხელშეკრულებაში გაწერილია უნივერსიტეტის და კლინიკებს შორის კოორდინაციის საკითხები. ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების საგნის თაობაზე - განსაზღვრულია კომპანიის ბაზაზე მისაღწევი მოდულების/ სწავლის შედეგების დასახელება. კლინიკები აცხადებენ მზაობას ერთდროულად მიიღონ 60 პროფესიული სტუდენტი. გათვალისწინებულია მატერიალურ - ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება, კვალიფიციური კადრებით სწავლების უზრუნველყოფა. ხელშეკრულებაში დანართის სახით მოცემულია სრულყოფილი ინფორმაცია მატერიალურ - ტექნიკური ბაზისა და ასევე, ხელმისაწვდომი მასალა-ნედლეულის თაობაზე.

კურსდამთავრებულებთან და პარტნიორი კომპანიების წარმომადგენელთან ინტერვიურებით დადასტურებულია პროფესიული მოდულების ფარგლებში სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა. ზემოაღნიშნული კლინიკები ამავე დროს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დამსაქმებელნი არიან. ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით, კლინიკებს აღებული აქვთ ვალდებულება, რომ სწავლების დასრულების შემდეგ იზრუნებენ ქსელში არსებულ ვაკანსიებზე კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე. **ინდიკატორის 2.4.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

6. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ,,საექთნო საქმე" თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის დაწესებულების მიერ შემუშავებულია დარგობრივი ინსტრუქციები, რომელიც გამოკრულია ლაბორატორიაში და ინდივიდუალურადაც ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის. **ინდიკატორის 2.4.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საექთნო საქმე";
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო ცხრილები;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვები;
- ინდივიდუალური გეგმები;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეფასება ხორციელდება კანონდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, რომელიც მოცემულია ,,პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაში“. მასში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა, შეფასების პრინციპები, პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის წესი, კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება, ვალიდაცია, შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია, შეფასების შესახებ პროფესიული სტუდენტების ინფორმირება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება, მტკიცებულებების მოპოვების, შენახვის და განკარგვის წესი. წესს ახლავს დანართი, რომელშიც მოცემულია შეფასებების ფორმები, ჩექლისტები, კითხვარები.

   შეფასების სისტემა განმსაზღვრელი შეფასების გარდა ითვალისწინებს განმავითარებელ შეფასებასაც.

   განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის მოდულური პროგრამის მიმდინარეობის პროცესში. განმეორებითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტის შეფასება ხდება პირველადისაგან შეცვლილი შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასებისას, სტუდენტის გამოუცხადებლობის ან შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, თუ დაუდასტურებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულის დაძლევა შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობაა, სტუდენტს ეძლევა დამატებით ორჯერ შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის დადასტურების/შეფასების შედეგის არასამართლიანად ჩათვლის შემთხვევაში გამოიყენოს აპელაციის უფლება.

აღნიშნული წესის გაცნობა პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა ინტერვიუსას აღნიშნა, რომ სწავლის დასაწყისში ხდება პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება აღნიშნული წესის შესახებ. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, **დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.4.2.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და უნივერსიტეტში პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.**

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. კერძოდ: შეფასების სისტემის გამართული მუშაობისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მექანიზმები. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 25 მარტის #01-03/03ა ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული განათლების ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“ რომლის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად მოცემული ვითარების შესწავლა, მონაცემების შეგროვება, ანალიზი, საჭიროებების განსაზღვრა, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და ჩარევების განხორციელება. რეგულაციით გაწერილია შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა, ჯგუფის და ჯგუფის ხელმძღვანელის ფუნქციები, ვერიფიკაციის ეტაპები და სხვა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში (საშემოდგომო მიღება) ადგენს ვერიფიკაციის გეგმას შერჩევის მექანიზმის (რისკების სისტემა) შესაბამისად. ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფი (შემდგომში „ჯგუფი“) ვალდებულია ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად უზრუნველყოფს თავისი ფუნქციების შესრულებას; უნივერსიტეტი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით:

შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;

პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია, რაც მოიცავს ინფორმაციას ვერიფიკაციის ჯგუფის შესახებ, ვერიფიკაციის გეგმას, რისკების შეფასებას, ვერიფიკაციის დასკვნას და რეკომენდაციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის 2.4.2.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, რადგან დაწესებულების მიერ გამოყენებული პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. უნივერსიტეტი შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას უზრუნველყოფს შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები კი ინახება მუდმივად. **ინდიკატორის 2.4.2.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. პროფესიული ცენტრის ხელმძღვანელი პერმანენტულად აანალიზებს შეფასების შედეგებს და პერიოდულად ანგარიშს წარუდგენს რექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. პროგრამაზე ჩარუცხულ პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებითაც დადასტურდა, რომ დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და მიღწევების შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება შესაბამისი რეაგირება (დამატებითი მეცადინეობები, განმავითარებელი შეფასებები, კონსულტაციები და სხვ.), რაც მიმართულია მათი შემდგომი განვითარებისთვის. **შესაბამისად, ინდიკატორის 2.4.2.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება

(მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საექთნო საქმე“;
- ,, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა“;
- ვერიფიკაციის წესი;
- ვერიფიკაციის მტკიცებულებები;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 05 ოქტომბრის # 02–01/07 გადაწყვეტილება.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტაკიძეები (ხიჭაური)
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგია განსაზღვრულია„ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსარიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების რექტორის 2019 წლის 01 აგვისტოს # 01–03/32 ბრძანებით (ცვლილება 12.03.2023 წელი # 01–03/6).აღნიშნული დოკუმენტის თანახმად სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგია ეფუძნება შრომის ბაზრის – დამსაქმებელთა მოთხოვნათა ანალიზს ან/და პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზს ან/და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზს, დასაქმების მაჩვენებლებს და სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს, რომლის საფუძველზეც დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი „უნივერსიტეტი“–ის რექტორს წარუდგენს მოხსენებით ბარათს, სადაც დასაბუთებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საჭიროება. პროგრამის დანერგვა/ადაპტირებისათვის დაწესებულების რექტორის ბრძანებით იქმნება შიდა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულების განმახორციელებლები.

   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოდულებთან ერთად მტკიცდება ერთიანი აქტით, ხოლო მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება დაწესებულების რექტორის ინდივიდუალურ–სამართლებრივი აქტით.

   სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“ მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი, აღნიშნული დასაბუთებით ვგებულობთ, რომ სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელის მომზადების პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას განაპირობებს სკოლამდელი განათლების განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნევა. სკოლამდელი დაწესებულების ქსელის გაფართოება, ინფრასტრუქტურის გამართვა და სკოლამდელი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის განხორციელება, რომელიც თავის მხრივ ითხოვს სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტების არსებობას.

   დაწესებულების მიერ ვიზიტის მიმდინარეობისას წარმოდგენილი იქნა პროგრამის მიზანშეწონილობის დასადგენად დამატებით ჩატარებული კვლევები. დოკუმენტის თანახმად, კვლევის მიზანს წარმოადგენდა, დაწესებულების მხრიდან მონაცემების შეგროვება შრომის ბაზრის შესახებ, უნარების არსებობის (პროგრამის შედეგები და დამსაქმებლის მიერ მოთხოვნილ უნარებს შორის), შრომის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბაზარზე დასაქმებულთა ასაკის, განათლების დონის დადგენა, შრომის ბაზარზე ვაკანსიების დადგენა. ამისთვის შესწავლილი იქნა ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში, სკოლამდელი აღზრდის ბაგა–ბაღების გაერთიანებაში შემავალი ბაღების რაოდენობები და ახალი მშენებარე ბაღების არსებობა. აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში არსებული მოქმედი ბაღების გარდა, რომელიც 50 აღემატება, იგეგმება ახლი ბაღების მშენებლობა, უახლოვეს ერთ წელიწადში ქედასა და შუახევში ფუნქციონირებას შეძლებს დაახლოებით ხუთი ახალი სკოლამდელი დაწესებულება.

პროგრამის ხელმძღვანელმა ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნა, რომ კვლევის შედეგად დაადგინეს, რეგიონში არსებულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულთა ასაკი და განათლების დონე, რის მიხედვითაც დადგინდა, რომ ბაღებში დასაქმებული აღმზრდელებისა და აღმზრდელის თანაშემწეების უმრავლესობა საპენსიო ასაკისაა და ძირითადად მათი კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოთხოვნილს, რაც შესაბამისად იწვევს ახალგაზრდა, გამოცდილი კვალიფიციური კადრის საჭიროებას.

უნივერსიტეტს შემუშვებული აქვს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სტრატეგიული გეგმა, რის საფუძველზეც დგინდება, რომ დაწესებულების ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია ,,პროფესიული მოდულური პროგრამების პერსპექტივების კვლევა და ახალი პროგრამების დამატება“.

საერთო ჯამში, ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია და პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2. წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მხრიდან აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა შეფასდა, როგორც შეუსაბამო, ვინაიდან უნივერსიტეტში ჩარიცხვის პროცედურები არ იყო შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის ბრძანება №42/ნ დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“-თან.

აღნიშნული ხარვეზი დაწესებულების მიერ გამოსწორებული იქნა, დაწესებულებამ სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 12 მარტის #01–03/6 ბრძანებით ცვლილება შეიტანა „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ – ში, და აღნიშნული დოკუმენტის მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება (მუხლი 4) ჩანაწერები შესაბამისობაში მოიყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის ბრძანება №42/ნ დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“-თან. ხარვეზი გამოსწორებულია, არსებული მდგომარეობით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღმზრდელი“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა, შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით მოთხოვნილ წინაპირობასთან. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რითიც ის უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიულ პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და დაწესებულების ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის“ შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის 2.1.1.2 მოთხოვნა შესაბამისობაშია და **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

3. უნივერსიტეტში რექტორის 2019 წლის 28 იანვრის N01–03/08 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის წესი“. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეესაბამება აღნიშნული მეთოდოლოგიის მოთხოვნებს, რომლის მიხედვით დაწესებულების კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში იღებს პროგრამის განხორციელების მიდგომებსა და სპეციფიკას, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით, A , B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას, პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციების შესაძლებლობები და სხვ. პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთების მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენს - 30-ს. **შესაბამისად, დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია და პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

4. ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე დაადგინეს, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“ განხორციელებისთვის დაწესებულების მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო რესურსის ჩამონათვალი. მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, რელევანტურია და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების შესაბამისობის კვლევას. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართული არიან რესურსების შეფასებისა და საჭიროების განსაზღვრის პროცესში. სტუდენტები აღნიშნული რესურსების შესაბამისობას აფასებენ დადებითად.

პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. საგანმანათლებლო რესურსი ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ნაბეჭდი და ელექტრონული სახით, დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან. **შესაბამისად ინდიკატორი 2.1.14 შესაბამისობასია და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ,,სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“ არ მოიცავს არჩევით მოდულს.
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“, დამტკიცებულია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 05 ოქტომბრის N02–01/07 გადაწყვეტილებით (ცვლილება № 02-01/05. 5.09.2022 წ).. პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია სასწავლო უნივერსიტეტის დებულებით, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების რექტორის 2019 წლის 25 დეკემბრის N01–03/41 ბრძანების მუხლი 6, პუნქტი 6.2. მიხედვით. **შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**
7. ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის სახელწოდება ,,სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი,“ **შეესაბამება პროგრამის შინაარსს, წინასწარ დაგეგმილ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, შესაბამისად ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია;**
8. წინა ვიზიტის ფარგლებში აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, ვინაიდან დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამაში არ იყო გათვალისწინებული მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის №192/ნბრძანებაში განხორციელებული ცვლილება (ბრძანება N58/ნ 20/05/2020), რომლის მიხედვითაც "აღმზრდელის" ჩარჩო დოკუმენტში მისანიჭებელ კვალიფიკაციად განისაზღვრა - "უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში“ და აღნიშნული პროგრამის კვალიფიკაციად განსაზღვრული იყო „მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში”.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული უზუსტობა დაწესებულებამ შესაბამისობაში მოიყვანა, რაც დადასტურდა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია "აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, სადაც განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები.სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება და პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები.

პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, რომლებიც სათანადოდ არის ადაპტირებული პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით, რაც დადასტურდა დოკუმენტების გადამოწმებით. ასევე ახლავს ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს.

მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია და პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების მისია http://www.tbeli.ge/;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2025 წ.წ.;
- პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამაზე ,,სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი" პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული კონტიგენტის განსაზღვრის დოკუმენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“ და მოდულები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი“;
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 28 იანვრის N01–03/08 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის წესი“. ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან;
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება, დამტკიცებული რექტორის 2019 წლის 25 დეკემბრის N01–03/41 ბრძანებით;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A, B და C გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა 15 პროფესიულ სტუდენტზე, რომელიც განკუთვნილია, როგორც თეორიული და ჯგუფური მუშაობისათვის, ასევე პრაქტიკული მეცადინეობებისათვის.

   ექსპერტების მიერ მოხდა აღნიშნული პროგრამისათვის გამოყოფილი აუდიტორიების დათვალიერება, აღმოჩნდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“ დაწესებულებას გამოყოფილი აქვს შესაბამისი აუდიტორია A გარემო, სადაც განთავსებულია შესაბამისი აღჭურვილობა 15 პროფესიულ სტუდენტზე, კერძოდ აუდიტორიაში განთავსებულია 15 პროფესიული სტუდენტის სამუშაო მაგიდა და სკამი, 1 კომპიუტერი, 1 პროექტორი, 1 დაფა და 1 მასწავლებლის სამუშაო მაგიდა და სკამი. აღნიშნული პროგრამისათვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ასევე კიდევ ერთი აუდიტორია, სადაც მოწყობილია იმიტირებული გარემო.

   საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტს ჰყავს ოთხი პარტნიორი ორგანიზაცია: ა(ა)იპ ქედის ბაგა–ბაღების გაერთიანება, ა(ა)იპ შუახევის ბაგა–ბაღების გაერთიანება, საქართველოს საპატრიარქოსხულოს წმინდა თევდორე აჭარელის სახელობის საბავშვო ბაგა –ბაღი და ა(ა)იპ ხულოს ბაგა–ბაღების გერთიანება.

   დაწესებულებამ ვიზიტის მიმდინარეობის დროს წარმოადგინა პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები (10.05.2023 წელი), დოკუმენტის თანახმად, მემორანდუმით განსაზღვრული მიზნების რეალიზებისათვის კონკრეტული ღონისძიებების ორგანიზებას მხარეები განსაზღვრავენ ცალკეული შეთანხმების ფარგლებში, სადაც ასევე განსაზღვრული იქნება პრაქტიკის ობიექტზე გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი და მხარეების მიერ ნაკისრი სხვა უფლება–მოვალეობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტების მიერ ვიზიტი განხორციელდა უნივერსიტეტთან მდებარე ერთ–ერთ საბავშვო ბაგა–ბაღში, რომელმაც დაწესებულების პროფესიულ სტუდენტებს უკვე გაუწია პრაქტიკული კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურება. პრაქტიკის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ ბაღში ბავშვთა რამოდენიმე ასაკობრივი ჯგუფი ფუნქციონირებს და პროფესიულ სტუდენტებს საშუალება ექნებათ მონაცვლეობით გადანაწილდნენ აღსაზრდელთა ჯგუფებში, დაწესებულების გამოცდილი კადრის საშუალებითა და დახმარებით ყველა სტუდენტს ექნება საშუალება უშუალო მონაწილეობა მიიღონ სასწავლო–სააღმზრდელო პროცესში. პრაქტიკის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ ბაგა–ბაღი დაკომპლექტებულია ყველა საჭირო კადრით, როგორიცაა სასწავლო – სააღმზრდელო პროცესის კოორდინატორი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი თუ სპეც. პედაგოგი, რომლებიც საკუთარი საქმიანობიდან და კომპეტენციიდან გამომდინარე დაეხმარებიან პროფესიულ სტუდენტს კიდევ უფრო განავითარონ პრაქტიკული უნარები და განიმტკიცონ უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნა. კერძოდ სტუდენტებს საშუალება ექნებათ გაეცნონ მულტიდისციპლინარული გუნდის მუშაობას, ინდივიდუალური გეგმის საჭიროებისა და შემუშავების პროცესს, ბავშვთან ურთიერთობასა და თანამედროვე მიდგომებს ასაკისა და ინდივიდუალურობის გათვალისწინებით.

დოკუმენტაციის ანალიზის, გასაუბრების და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, შესაბამისად, ინდიკატორის 2.2.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“, განხორციელების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 27 მასწავლებელი, აქედან 8 განახორციელებს ზოგად, ხოლო 19 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას მოდულებზე ჰყავს ორი განმახორციელებელი პერსონალი. **ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ინდიკატორის 2.2.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი. დაწესებულებას სტარტეგიული განვითარების გეგმაში და სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირების განვითარების მიზნით, რომელსაც ახორციელებენ გარკვეული პერიოდულობით“. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა აღნიშნა და პროგრამის განმახორციელებელმა პირებმაც დაადასტურეს ინტერვიურებისას, რომ პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებს უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩაუტარდათ სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ შიდა ტრენინგები.

დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია და ინდიკატორის 2.2.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის კვალიფიციური და აქვს პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილება დაწესებულებაში არსებული მსგავსი პროგრამის ფარგლებში. მას მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაში, პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში, ასევე აქვს დარგში მუშობის პრაქტიკული გამოცდილება, ეწევა აგრეთვე სამეცნიერო საქმიანობას შესაბამის დარგში. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების განხორციელების ინიცირებაზე, იგი ჩართულია ვერიფიკაციის პროცესებშიც. **ინდიკატორის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.4 მოთხოვნა ექსპერტთა შეფასებით დაკმაყოფილებულია და საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში, სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში შემოწმებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იყენებენ სასწავლო რესურსებს, რის დასტურადაც ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკიდან სასწავლო რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი შევსებული ჟურნალი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. დაწესებულების ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ შესაბამის მუხლებში გაწერილია პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის ღონისძიებები - ინდივიდუალური მუშაობა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. დაწესებულებას აქვს შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული გარემო, მათ შორის, სველი წერტილები და პანდუსები. სასწავლო რესურსი საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებისა და მოთხოვნილებების მიხედვით. უნივერსიტეტს არ ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, თუმცა, ადმინისტრაციის განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირების მხარდასაჭერად დაწესებულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, ასისტენტის ან სხვა მხარდამჭერი პირების აყვანას, რომელთა დახმარებით შედგება ინდივიდუალური გეგმები და ადაპტირდება სასწავლო რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია სასწავლო გარემოსთან წვდომის ადაპტირებისთვის შემდგომში გაითვალისწინონ თანამედროვე და უფრო კომფორტული მექანიზმების გამოყენება.

ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით ინდიკატორის 2.2.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. საგანმანათლებლო პროგრამა ,,სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“ ბიუჯეტის მაჩვენებლებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით ფინანსურად მდგრადია, ვინაიდან, პროგრამის ადმინისტრირება ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს საპატრიარქოს მიერ გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში, ამასთანავე დაწესებულება აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის მიიღებს ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული პროფესიული სტუდენტის სწავლის საფასურს. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ამ ეტაპისთვის არის დაწესებულების ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებში შეყვანილია პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, სასწავლო მასალების ღირებულება, არსებობის შემთხვევაში - პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯები. პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისი თანაფარდობით ითვალისწინებს ადმინისტრირების (ხელფასებს, კომუნალურ, საკომუნიკაციო და სხვა) საოპერაციო ხარჯებს, პროგრამის ბიუჯეტირებისას პროგრამის რენტაბელობის ზღვარი არ არის განსაზღვრული, თუმცა გამოყოფილი ფინანსების ოდენობა სრულიად საკმარისია 60 პროფესიული სტუდენტის მოსამზადებლად.

განმავითარებელი რეკომენდაციის სახით დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ ბიუჯეტი შედგეს თითოეული განსახორციელებელი პროგრამისთვის ცალცალკე და განისაზღვროს როგორც რენტაბელობის ზღვარი, ასევე მასში გაითვალისწინონ მთიანი რეგიონისთვის დამახასიათებელი ფორსმაჟორული არახელსაყრელი ვითარების ფინანსური გადაზღვევა, რომლითაც დამატებითი სახსრების გაწევა შეიძლება დასჭირდეს დაწესებულებას (მაგ. დიდთოვლობის, ზვავიანობის, სხვა მეტეოროლოგიური პირობების გამო გამოწვეული ხარჯები). მიუხედავად აღნიშნულისა, ბიუჯეტის ანალიზით ირკვევა რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრული ბიუჯეტი სრულად უზრუნველყოფს პროგრამის რენტაბელურობას და ფინანსურ მდგრადობას და ინდიკატორის 2.2.1.7 მოთხოვნები სრულადაა დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი";
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
- მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- ბიბლიოთეკართან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ,,მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა“ (დამტკიცებული დაწესებულების რექტორის 2019 წლის 7 მაისის № 01-03/27 ბრძანებით), სადაც გაწერილია შიდა და გარე შეფასების მექნიზმები, კერძოდ, შემუშავებული დოკუმენტის თანახმად, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებისათვის უნივერსიტეტში გამოიყენება შემდეგი მექანიზმები:უნივერსიტეტში მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფორმისა და კრიტერიუმების შემუშავება და მათ შესაბამისად ყოველწლიურად შიდა შეფასების განხორციელება; პროფესიული მასწავლებლის მიერ წარმართულ ლექციებსა და სამუშაო ჯგუფებში/პრაქტიკულ მეცადინეობებზე ურთიერთდასწრება; პროფესიული მასწავლებლის/მოწვეული მასწავლებლის ყოველწლიური ანგარიშების მომზადება და მონიტორინგი.

   დაწესებულებას ასევე ბრძანება: N01-03/08. 28.06.2021 წ.დამტკიცებული აქვს „ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხორციელდება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, ადამიანური და მატერიალური რესურსების, დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების გზით და ეფუძნება დემინგის ციკლის მოდელს, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს პროგრამების განვითარების მიზნებისათვის სტუდენტების პროგრამის ხელმძღვანელების, მასწავლებლების, კურდამთავრებულების, პარტნიორი კომპანიების გამოკითხვას შესაბამისი კითხვარების გამოყენებით. დაწესებულებამ წარმოადგინა კითხვარების ფორმები. ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა 2019 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების ანალიზი, უნივერსიტეტი ზრუნავს სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე, აწყობს სემინარებს და ტრენინგებს. სტუდენტებმა და პროფესიულმა მასწავლებლება დაადასტურეს აღნიშნული მექანიზმის გამოყენება.

   ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.3.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კერძოდ: სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 25 ივლისი № 01-03/18 ბრძანებით დამტკიცებულია „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და მასში ცვლილებების შეტანის თანდართული წესი“, რომლის თანახმად, საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭო ცვლილების ინიცირებით მიმართავს აკადემიურ საბჭოს, რომელიც იღებს ცვლილების შეტანის ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელ პირ(ებ)ს.პროგრამაში/მოდულში ცვლილების შეტანის შემთხვევაში აღნიშნული ცვლილება მტკიცდება რექტორის ბრძანებით. პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს: ა) პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის გათვალისწინებით; ბ) უფლებამოსილი პირის ინიცირებით დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში; გ) სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით; დ) პარტნიორი კომპანიის მოთხოვნით, იმ შემთხვევაში თუ ცვლილების არსი არ ეწინააღმდეგება მოქმედ სტანდარტს; ე) ცენტრის მიერ განხორციელებული ცვლილებების და/ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

ცვლილების შემთხვევაში კორექტირებული მასალა მტკიცდება რექტორის ბრძანებით. პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესახებ, ინფორმაციის გავრცელებას ახდენს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე პასუხისმგებელია პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ საჭიროებისამებრ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირებაზე და პროგრამაში ცვლილებების განხორციელების მიზნით, ინიცირებით მიმართვაზე გამომდინარე აქიდან, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულია.

ინდიკატორის 2.3.1.2 მოთხოვნები ექსპერტთა მოსაზრებით დაკმაყოფილებულია და პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი“;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- კითხვარები და კვლევის შედეგები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“ ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობებისა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის სრული დაცვით, რასაც ადასტურებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვები, რეესტრში ასახული მონაცემები, სასწავლო ცხრილები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები. **ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით, ინდიკატორის 2.4.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამა დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.**
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან. **ინდიკატორის 2.4.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**
3. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს. პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ინტერვიუებზე დადგინდა, რომ განმახორციელებლებს აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, წვდომისა და ინფორმაციის მოპოვების უნარები. პროგრამას აქვს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, რომელიც მორგებულია სტუდენტებისათვის, სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები /თანამედროვე ტექნოლოგიები. **ინდიკატორის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, უნივერსიტეტი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ გაწერილი პროცედურების შესაბამისად. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გასაუბრებისას აღინიშნა, რომ დაწესებულებას აქვს საჭიროების შემთხვევაში მზაობა, პროფესიულ სტუდენტს შეუმუშავოს ინდივიდუალური გეგმები, თუმცა, ჯერ ამის საჭიროება არ დადგომიათ. მათ ხაზი გაუსვეს იმ ფაქტორს, რომ **დაწესებულება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას ყოველთვის ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებს. ინდიკატორის 2.4.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
5. „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტს ჰყავს ოთხი პარტნიორი ორგანიზაცია: ა(ა)იპ ქედის ბაგა–ბაღების გაერთიანება, ა(ა)იპ შუახევის ბაგა–ბაღების გაერთიანება, საქართველოს საპატრიარქოსხულოს წმინდა თევდორე აჭარელის სახელობის საბავშვო ბაგა –ბაღი და ა(ა)იპ ხულოს ბაგა–ბაღების გერთიანება.**ინდიკატორის 2.4.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
6. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ,,სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“ თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება არ საჭიროებს განსაკუთრებულ/სპეციფიკური უსაფრთოხების პირობების შექმნას/დაცვას. **ინდიკატორის 2.4.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- სასწავლო ცხრილები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვები;
- ინდივიდუალური გეგმები;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეფასება ხორციელდება კანონდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, რომელიც მოცემულია ,,პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაში". მასში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა, შეფასების პრინციპები, პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის წესი, კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება, ვალიდაცია, შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია, შეფასების შესახებ პროფესიული სტუდენტების ინფორმირება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება, მტკიცებულებების მოპოვების, შენახვის და განკარგვის წესი. წესს ახლავს დანართი, რომელშიც მოცემულია შეფასებების ფორმები, ჩექლისტები, კითხვარები.
   შეფასების სისტემა განმსაზღვრელი შეფასების გარდა ითვალისწინებს განმავითარებელ შეფასებასაც.
   განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის მოდულური პროგრამის მიმდინარეობის პროცესში. განმეორებითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტის შეფასება ხდება პირველადისაგან შეცვლილი შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასებისას, სტუდენტის გამოუცხადებლობის ან შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, თუ დაუდასტურებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულის დაძლევა შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობაა, სტუდენტს ეძლევა დამატებით ორჯერ შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის დადასტურების/შეფასების შედეგის არასამართლიანად ჩათვლის შემთხვევაში გამოიყენოს აპელაციის უფლება.

აღნიშნული წესის გაცნობა პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა ინტერვიუსას აღნიშნა, რომ სწავლის დასაწყისში ხდება პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება აღნიშნული წესის შესახებ. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, **დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.4.2.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და უნივერსიტეტში პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.**

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. კერძოდ: შეფასების სისტემის გამართული მუშაობისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მექანიზმები. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 25 მარტის #01-03/03ა ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული განათლების ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“ რომლის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად მოცემული ვითარების შესწავლა, მონაცემების შეგროვება, ანალიზი, საჭიროებების განსაზღვრა, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და ჩარევების განხორციელება. რეგულაციით გაწერილია შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა, ჯგუფის და ჯგუფის ხელმძღვანელის ფუნქციები, ვერიფიკაციის ეტაპები და სხვა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში (საშემოდგომო მიღება) ადგენს ვერიფიკაციის გეგმას შერჩევის მექანიზმის (რისკების სისტემა) შესაბამისად. ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფი (შემდგომში „ჯგუფი“) ვალდებულია ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად უზრუნველყოფს თავისი ფუნქციების შესრულებას; უნივერსიტეტი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით:

შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;

პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია, რაც მოიცავს ინფორმაციას ვერიფიკაციის ჯგუფის შესახებ, ვერიფიკაციის გეგმას, რისკების შეფასებას, ვერიფიკაციის დასკვნას და რეკომენდაციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის 2.4.2.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, რადგან დაწესებულების მიერ გამოყენებული პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. უნივერსიტეტი შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას უზრუნველყოფს შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები კი ინახება მუდმივად. **ინდიკატორის 2.4.2.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. პროფესიული ცენტრის ხელმძღვანელი პერმანენტულად აანალიზებს შეფასების შედეგებს და პერიოდულად ანგარიშს წარუდგენს რექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. პროგრამაზე ჩარუცხულ პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებითაც დადასტურდა, რომ დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და მიღწევების შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება შესაბამისი რეაგირება (დამატებითი მეცადინეობები, განმავითარებელი შეფასებები, კონსულტაციები და სხვ.), რაც მიმართულია მათი შემდგომი განვითარებისთვის. **შესაბამისად, ინდიკატორის 2.4.2.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება

(მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“;
- ,, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა“;
- ვერიფიკაციის წესი;
- ვერიფიკაციის მტკიცებულებები;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

21.07.2023 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: